

# ტყეების მართვის დღევანდელი ვითარება და მისი გავლენა მოსახლეობაზე

საბოლოო ანგარიში



ივლისი, 2013

# სარჩევი

|       |  |    |
|-------|--|----|
| 1.    | მოკლე ანოტაცია.....  | 4  |
| 2.    | ძირითადი მიგნებები .....   | 5  |
| 2.1   | ტყეების მდგომარეობის შეფასება .....  | 5  |
| 2.2   | ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების ექსპლუატაცია .....  | 5  |
| 2.3   | დასაქმება.....   | 6  |
| 2.4   | ბიომრავალფეროვნება, ტყის მავნებლები და დაავადებები .....   | 6  |
| 2.5   | ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა.....   | 7  |
| 2.6   | სატყეო ფონდში არსებული წყლის რესურსების მართვა.....  | 7  |
| 2.7   | ინფორმაცია ეკონომიკურ მდგომარეობაზე.....   | 8  |
| 2.8   | ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის გამოკვლევა.....  | 10 |
| 2.8.1 | შემა .....   | 10 |
| 2.8.2 | სამასალე მერქანი .....   | 11 |
| 2.8.3 | ტყეში მოპოვებული ველური საკვები ხილი / მცენარეები და<br>სამკურნალო მცენარეები.....                 | 12 |
| 2.8.4 | ნადირობა.....  | 12 |
| 2.8.5 | ტყეების კულტურულ–რეკრეაციული გამოყენება და ტურიზმი<br>.....  | 12 |
| 2.8.6 | ძოვება და სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების<br>მართვა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე..... | 13 |
| 2.9   | პასუხისმგებლობის განაწილება .....  | 14 |
| 3.    | კვლევის მიზნები და ამოცანები .....   | 15 |
| 4.    | კვლევის მეთოდოლოგია .....  | 16 |
| 5.    | შედეგები, ანალიზი და ინტერპრეტაცია.....  | 18 |
| 5.1   | ტყეების მდგომარეობის შეფასება წლების მიხედვით.....   | 18 |
| 5.2   | ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების ექსპლუატაცია .....  | 20 |
| 5.3   | დასაქმება.....   | 27 |
| 5.4   | ბიომრავალფეროვნება, ტყის მავნებლები და დაავადებები .....   | 30 |
| 5.5   | ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა.....   | 32 |

|       |  |    |
|-------|--|----|
| 5.6   | სატყეო ფონდში არსებული წყლის რესურსების მართვა.....  | 35 |
| 5.7   | ინფორმაცია ეკონომიკურ მდგომარეობაზე .....  | 39 |
| 5.8   | ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის შეფასება .....   | 47 |
| 5.8.1 | შეშა .....   | 47 |
| 5.8.2 | სამასალე მერქანი .....   | 57 |
| 5.8.3 | ტყეში მოპოვებული ველური ხილი/მცენარეები და სამკურნალო<br>მცენარეები .....                          | 62 |
| 5.8.4 | ნადირობა.....  | 67 |
| 5.8.5 | ტყეების კულტურულ–რეკრეაციული გამოყენება და ტურიზმი<br>.....  | 71 |
| 5.8.6 | ძოვება და სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების<br>მართვა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე..... | 77 |
| 5.9   | პასუხისმგებლობის განაწილება .....  | 85 |

## დანართები:

- დანართი №1. კითხვარი
- დანართი №2. როგორ შეაფასებდით თქვენი სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეების მდგომარეობას წლების მიხედვით (რეგიონის ჭრილში)

## 1. მოკლე ანოტაცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს პროექტის - „ტყის მდგრადი მართვა საქართველოში“ - ფარგლებში განხორციელებული კვლევის ანგარიშს. პროექტი ხორციელდება კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ზოგადი მიზანია საქართველოში სატყეო სექტორის ეფექტიანი მართვის ხელშეწყობა სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერებაზე ორიენტირებული დიალოგის ინიცირებით.

პროექტის კონკრეტულ მიზნებს წარმოადგენს:

- ახალი სატყეო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში ადგილობრივი თემებისა და ხელისუფლების ეფექტიანად მონაწილეობის მიზნით მათი უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება;
- ტყის მდგრადი მართვის საკითხებში სახელმწიფო სტრუქტურების უნარ-შესაძლებლობების გაძლიერება ავსტრია-საქართველოს შორის ინსტიტუციური თანამშრომლობის გაძლიერების საშუალებით;
- სატყეო სექტორის მართვის ახალი სისტემის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში სტრუქტურული დიალოგის ინიცირება და სტიმულირება.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის - „ტყეების მართვის დღევანდელი ვითარება და მისი გავლენა მოსახლეობაზე“ - მიზანს წარმოადგენს ტყეების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გამოკვეთა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე მათი ზეგავლენის შესწავლა. კერძოდ, უნდა დადგინდეს, რა მდგომარეობაშია არსებული ტყეები სამიზნე რეგიონებში, როგორ მიმდინარეობს ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა და სარგებლობა, როგორ არის განაწილებული უფლება-მოვალეობები ტყის მართვის სფეროში (ადგილობრივი თემების თვალთახედვით), როგორია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და როგორ არის ის დაკავშირებული ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის პრაქტიკასთან.

განხორციელდა შერეული კვლევა, კითხვარი მოიცავდა როგორც თვისობრივ ნაწილს (ღია კითხვების სახით), ისე რაოდენობრივს. კვლევამ მოიცვა აჭარის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის 1,933-მდე სოფელი. გამოიკითხა ამდენივე რესპონდენტი.

კვლევა მიმდინარეობდა 2013 წლის მარტ-აპრილის პერიოდში.

კვლევის მიზნები, მეთოდოლოგია, შედეგების ანალიზი, ინტერპრეტაცია და ძირითადი მიგნებები წარმოდგენილია ქვემოთ, შესაბამის თავებში.

## 2. ძირითადი მიგნებები

### 2.1 ტყეების მდგომარეობის შეფასება

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ყველა სამიზნე რეგიონში ტყეების მდგომარეობის ცვლილების დინამიკა უარყოფითია და ის თანდათანობით უარესდება: ტყეების ადგილს ბუჩქნარი და ბარდი იკავებს, ტყეებიდან ქრება ადრე გავრცელებული ცხოველები, ინტენსიურად მიმდინარეობს სატყეო გზების დახრამვა, ფერდობების ჩამორეცხვა და დამეწყვრა, იზრდება ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი, სოფლებს ექმნებათ სასმელი წყლის პრობლემები.

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ტყეების მდგომარეობის გაუარესებამ შემდეგი პრობლემები წარმოშვა:

- აჭარის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები – სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეების დაზიანება;
- აჭარის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები – ბუნების ძეგლების დაზიანება;
- კახეთის რეგიონი – რეკრეაციული/დასასვენებელი ადგილების დაზიანება;
- კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები – სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეების დაზიანება;
- რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები – ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი კატასტროფების კერების წარმოქმნა.

### 2.2 ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების ექსპლუატაცია

გამოკითხული რესპონდენტების ინფორმაციით, მათი სოფლების მიმდებარედ არსებულ ტყეებში ხეტყის მოპოვებას მასშტაბური ხასიათი არა აქვს. ცალკე გამოსაყოფია კახეთი და მცხეთა-მთიანეთი, სადაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტი რესპონდენტი საუბრობს ხეტყის მოპოვების მასშტაბურობაზე.

ხეტყის მოპოვების მასშტაბების შემცირების ძირითად მიზეზად მიჩნეულია სოფლების სიახლოვეს ადრე არსებული სახერხების დახურვა.

ყველა რეგიონში, გამოკითხულთა ინფორმაციით, ხეტყის მოპოვება ძირითადად ადგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ხდება. ცალკე გამოსაყოფია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხეტყის მოპოვება ხდება როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე სხვა დანიშნულებითაც. ადგილობრივი მოხმარების გარდა, ტყეების „სხვა დანიშნულებით“ გამოყენებაში მოსახლეობა უმეტესად სახელმწიფო პროგრამებს გულისხმობს და ძირითადად ასახელებს ისეთ სახელმწიფო

პროგრამებს, როგორებიცაა, მაგ., სახელმწიფო დაწესებულებებისა და დევენილების შემთხვევაში უზრუნველყოფა.

მოსახლეობა მიუთითებს ტყეებზე ხელმისაწვდომობისა და ხეტყის ექსპლუატაციის შემცირების ფაქტებზე და ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზად სწორედ ტყეების დეგრადაციას ასახელებს.

მიუხედავად იმისა, რომ, რესპონდენტთა უმრავლესობის ინფორმაციით, ყველა რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობას გამოაქვს ტყიდან მერქნული რესურსები, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს, რომ ტყიდან მერქნული რესურსის გამოტანას ვერ ახერხებენ. ეს ფაქტი განსაკუთრებით ნათლად იკვეთება კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

იმ მსხვილი კომპანიების შესახებ, რომლებიც სამიზნე რეგიონებში ადგილობრივი ხეტყის მოპოვებას ეწევიან, მხოლოდ კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის მცირე ნაწილი<sup>1</sup> ინფორმირებული.

გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს ხეტყის მოპოვების პერიოდში ტყის ცალკეულ უბნებზე ლიცენზიანტის მხრიდან გარკვეულ შეზღუდვებზე. ასევე საუბრობენ გარკვეული სახის კონფლიქტზე ლიცენზიანტსა და მოსახლეობას შორის. კონფლიქტურ სიტუაციებზე განსაკუთრებული აქცენტი კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში კეთდება.

## 2.3 დასაქმება

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ინფორმაციით, სამიზნე რეგიონებში მოსახლეობა თვითდასაქმებულია ტყეში (ეს ტენდენცია განსაკუთრებით იკვეთება კახეთის რეგიონში). ტყეში თვითდასაქმების სახეებს შორის გამოყოფენ ძირითადად საშემე მერქნის მოპოვებას. იმ კომპანიებში, რომლებიც სამიზნე რეგიონებში ეწევიან ხეტყის მოპოვებას, არ არიან დასაქმებული ადგილობრივები.

## 2.4 ბიომრავალფეროვნება, ტყის მავნებლები და დაავადებები

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს ტყეებში წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების ჭრის ფაქტებს; ეს ტენდენცია, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო კახეთსა და მცხეთა-მთიანეთშია გამოკვეთილი.

განსხვავებული სურათი გვაქვს რეგიონების მიხედვით ტყეებში სხვადასხვა დაავადების არსებობასა და მათგან მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით. რესპონდენტები ამ საკითხებზე ყველაზე მეტად აჭარის რეგიონში ლაპარაკობენ. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ სახეობებს, რომლებიც გაქრა, ან გაქრობის საფრთხის წინაშე იმყოფება.

<sup>1</sup> რაც ლოგიკურია, რადგან ლიცენზირებული ტყეები დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულია. სოფლების ის რაოდენობა კი, რომელიც ასეთ ტყეებს ესაზღვრება, საერთო მაჩვენებლებს ვერ გაზრდის.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობის ინფორმაციით, არც ერთ რეგიონში არ ხდება ტყეებში უცხო სახეობების მიერ ადგილობრივი სახეობების ჩანაცვლება.

## 2.5 ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა

გამოკითხულთა ინფორმაციით, სამიზნე რეგიონების სოფლებში არ არის შემორჩენილი ტყეების ტრადიციული მართვის პრაქტიკა. ცალკე აღსანიშნავია აჭარა და სამეგრელო–ზემო სვანეთი, სადაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტი რესპონდენტი საუბრობს ტყეების მართვის ასეთ პრაქტიკაზე. რესპონდენტები, რომლებიც ლაპარაკობენ სოფლებში შემორჩენილი ტყეების ტრადიციული მართვის პრაქტიკაზე, ძირითადად, ტყის საგვარეულო მართვის ფორმას ასახელებენ.

რესპონდენტების უმრავლესობა ყველა რეგიონში აღნიშნავს აგრეთვე სოფელში ან მის სიახლოვეს სათემო/კომუნალური ტყეების არსებობის ფაქტს.

## 2.6 სატყეო ფონდში არსებული წყლის რესურსების მართვა

რესპონდენტების გარკვეული ნაწილი აღნიშნავს სოფლების სიახლოვეს ტყეებში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტებზე გარკვეული სახის ცვლილებებს, ისეთებს, როგორებიცაა: მყარი ნატანის მოცულობის მომატება, მდინარეთა კალაპოტების გაფართოება, წყალდიდობის დროს უფრო მსხვილფრაქციული ნატანის (ქვარგვალი, ლოდნარი და სხვ.) გადაადგილება, წყლის დებეტის შემცირება და სხვ.

გამოკითხულთა უმრავლესობის ინფორმაციით, მათ რეგიონებში ზედაპირული წყლის ობიექტებზე არ განხორციელებულა ხელოვნური ჩარევა. მათ შორის, არ ჰქონია ადგილი მდინარის ხელოვნურ გადაკეტვას.

წყლის ობიექტები სახელმწიფო სარგებლობაში რჩება, თუმცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ ობიექტების კერძო სარგებლობის ფაქტზედაც მიუთითებს. სხვა რეგიონებთან შედარებით, ამ საკითხზე ყველაზე მეტი რესპონდენტი კახეთის რეგიონში საუბრობს.

რესპონდენტების უმრავლესობის ინფორმაციით, ზედაპირული წყლების ობიექტების (ძირითადად, მდინარეების, ღელეების) ექსპლუატაციის ერთ–ერთი გავრცელებული ფორმაა ინერტული მასალების მოპოვება, რაც ხდება როგორც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საოჯახო და სამეურნეო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ისე სხვადასხვა კომპანიის მიერ.

წყლის ობიექტების ექსპლუატაციის სხვა ფორმებიდან უმრავლეს შემთხვევაში დასახელებულია: რეკრეაციული მიზნებით მათი გამოყენება (აჭარა), ინფრასტრუქტურა სპორტული თევზაობისთვის (კახეთი, ქვემო ქართლი და სამეგრელო-ზემო სვანეთი), საპიკნიკო ადგილები (მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი) და თევზსამშენების მოწყობა (რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი).

## 2.7 ინფორმაცია ეკონომიკურ მდგომარეობაზე

რესპონდენტთა უმრავლესობა თავისი სოფლების საშუალო სტანდარტულ ოჯახს ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, ახასიათებს, როგორც ღარიბ და საშუალო შემდეგის მქონე ოჯახებს. სამიზნე რეგიონების სოფლების საშუალო ოჯახის<sup>2</sup> შემოსავლის ძირითადი წყაროებია:

- აჭარა – სოფლის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფული, საკუთარი ბიზნესი, ხელფასიანი სამსახური, სოფლის მეურნეობა;
- კახეთი – საკუთარი ბიზნესი, პენსია / დახმარება, სოფლის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფული;
- მცხეთა-მთიანეთი – სოფლის მეურნეობა, ხელფასიანი სამსახური, სოფლის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფული;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – ტყის რესურსების გამოყენება, სოფლის მეურნეობა, ხელფასიანი სამსახური;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – ხელფასიანი სამსახური, საკუთარი ბიზნესი, სოფლის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფული;
- სამცხე-ჯავახეთი – ტყის რესურსების გამოყენება, პენსია / დახმარება, სოფლის მეურნეობა;
- ქვემო ქართლი – სოფლის მეურნეობა, ტყის რესურსების გამოყენება, პენსია / დახმარება, სოფლის გარეთ მცხოვრები ოჯახის წევრების მიერ გამოგზავნილი ფული<sup>3</sup>.

სოფლის საშუალო ოჯახისათვის ტყის რესურსებზე ხელმისაწვდომობა, საშუალოდ მნიშვნელოვანსა და მნიშვნელოვანს შორის ვარირებს.

სამიზნე რეგიონების სოფლებში, ბოლო 2–3 წლის განმავლობაში ტყის რესურსების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მომხდარი ცვლილებების მიხედვით, ასეთი სურათი გვაქვს:

- ხელმისაწვდომობა საშემე ხეტყეზე იგივე დარჩა და / ან შეიზღუდა;
- ხელმისაწვდომობა სამასალე ხეტყეზე - შეიზღუდა და / ან ძალიან შეიზღუდა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთა-მთიანეთის,

<sup>2</sup> საშუალოდ, აჭარაში ოჯახში 4 ან 5 ადამიანი ცხოვრობს, ქვემო ქართლში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და მცხეთა-მთიანეთში – 3 ან 4, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში - 2 ან 3.

<sup>3</sup> დალაგებულია (რესპონდენტთა პასუხების) დასახელების სიხშირის მიხედვით.



რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, უფრო მეტი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხელმისაწვდომობა სამასალე ხეტყეზე იგივე დარჩა;

- წვრილ მერქანზე ხელმისაწვდომობა იგივე დარჩა და / ან შეიზღუდა (ცალკე გამოსაყოფია აჭარა, სადაც, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით უფრო მეტი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ხელმისაწვდომობა წვრილ მერქანზე ძალიან შეიზღუდა);
- არამერქნულ და რეკრეაციულ რესურსებზე ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე რეგიონში იგივე დარჩა.

რესპონდენტების აზრით, ტყეების მდგომარეობისა და სატყეო სექტორის მართვის სისტემის ცვლილებებმა, რაც უკანასკნელ წლებში განხორციელდა, და იმ შედეგებმა, რომლებიც ამ ცვლილებებმა წარმოქმნა, სამიზნე რეგიონებში შემდეგი სახის პრობლემები გამოიწვია:

- შემოსავლის ისეთი წყაროების შემცირება, როგორებიცაა ნადირობა, თევზჭერა, ტრადიციული წარმოება/მეურნეობა, ტურიზმი (აჭარა, კახეთი, მცხეთა -მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი);
- კულტურული დასვენებისა და რეკრეაციის კერების დეგრადაცია, ზოგან მათი მოსპობა (აჭარა, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი);
- სოფლის მეურნეობიდან შემოსავლების შემცირება (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი);
- შემოსავლების შემცირება ტყის არამერქნული რესურსების წარმოებიდან (მცხეთა -მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი);
- შემოსავლების შემცირება ტყის მერქნული რესურსების წარმოებიდან (სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი);
- ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნა (სამეგრელო-ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი);

რესპონდენტების ნაწილის აზრით, ტყეების მდგომარეობისა და სატყეო სექტორის მართვის სისტემის ცვლილებების შედეგად წარმოქმნილ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს:

- საძოვრებისა და სათიბების ფართობების შემცირება და დეგრადაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება და დეგრადაცია.

## 2.8 ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის გამოკვლევა

### 2.8.1 შემა

ყველა სამიზნე რეგიონში სოფლების საშუალო ოჯახი გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად, ძირითადად, შემას იყენებს (წლის განმავლობაში დაახლოებით 4-იდან 6-თვის განმავლობაში).

ადგილობრივი მოსახლეობა, ძირითადად, თავად ამზადებს და მოაქვს შემა ტყიდან. შემის მოსატანად ძირითადად ქირაობენ ავტომანქანებს, რაც უჯდებათ საშუალოდ 80–დან 200 ლარამდე. შემის ტრანსპორტირება საშუალოდ 11-19 კმ–ზე ხდება.

წელიწადში მოსახლეობა შემაში 400–დან 500 ლარამდე იხდის და აქ მნიშვნელოვანი სხვაობა რეგიონების მიხედვით არ ფიქსირდება, რაც შეეხება ბუნებრივი აირის ფასს, ამ მხრივ რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება:

| რეგიონი                    | წელიწადში ბუნებრივ აირში გადახდილი თანხა<br>(საშუალო მაჩვენებელი, ლარი) |
|----------------------------|---|
| აჭარა                      | 503.33  |
| კახეთი                     | 322.95  |
| მცხეთა-მთიანეთი            | 632   |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 394.63  |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი     | 168.57  |
| სამცხე-ჯავახეთი            | 72  |
| ქვემო ქართლი               | 420.83  |

მოსახლეობა ზაფხულის თვეებში შემის ალტერნატიულ საწვავად ძირითადად თხევად გაზს იყენებს თითქმის ყველა რეგიონში, გარდა ქვემო ქართლის რეგიონისა, სადაც უფრო მეტად იყენებენ ბუნებრივ აირს. ელექტროენერგია, როგორც შემის ალტერნატივა, უფრო ხშირად რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში გამოიყენება.

აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების გარდა, მოსახლეობა, ძირითადად, ნედლ შემას იყენებს. აჭარის გარდა, ყველა რეგიონში შემად ტოტებსა და ფიჩხს გამოიყენებენ. ტოტები და ფიჩხი შემის საერთო მარაგის 10%-ზე ნაკლებს შეადგენს კახეთში, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში, ხოლო 10–20%-ამდე – მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში.

სამიზნე რეგიონების მოსახლეობა შემის მოსაპოვებლად საჭირო ბილეთს (ნებართვას) არ იღებს. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და ქვემო ქართლის რეგიონები, სადაც რესპონდენტები, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, უფრო მეტად საუბრობენ ასეთი პრაქტიკის შესახებ.

რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელიც ლაპარაკობს შეშის მოსაპოვებლად საჭირო ნებართვის აღების საჭიროებაზე, აღნიშნავს, რომ ეს 1მ<sup>3</sup> 6–დან 8 ლარამდე ჯდება.

ტყით სარგებლობისათვის „არაოფიციალური“ გადასახადის არსებობაზე რესპონდენტები არც ერთ რეგიონში არ საუბრობენ. ცალკე აღსანიშნავია აჭარა და სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტი რესპონდენტი ლაპარაკობს „არაოფიციალური“ გადასახადის არსებობის შესახებ. „არაოფიციალური“ გადასახადის ოდენობად 4–დან 16 ლარამდე თანხა სახელდება იმ რესპონდენტების მიერ, რომლებიც, საერთოდ, „არაოფიციალური“ გადასახადის არსებობაზე მიუთითებენ.

გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, იმ შემთხვევაში, თუ სხვა ტიპის საწვავი (და ძირითადად საუბარია ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე) გაიაფდება, მოსახლეობა გადავა ამ საწვავზე და შეამცირებს შეშის გამოყენებას. ძირითადად საუბარია ბუნებრივი აირის ფასის განახევრებაზე, ხოლო ელექტროენერგიასთან მიმართებაში საუბარია მის უფასო მიწოდებაზე.

## 2.8.2 სამასალე მერქანი

ყველა სამიზნე რეგიონში სოფლის მოსახლეობა საოჯახო მიზნებისთვის იყენებს წვრილ სამასალე მერქანს (სარი, ჭიგო, წნელი), რომელსაც, ძირითადად, თვითონ ჭრის და გამოაქვს ტყიდან. გამონაკლისს კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი წარმოადგენენ, სადაც რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი ლაპარაკობს სამასალე მერქნის სხვისგან შესყიდვის პრაქტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ წელიწადში გამოყენებულ სამასალე მერქნის რაოდენობასთან მიმართებაში აჭარის რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობის სამასალე მერქანს მოიხმარენ, დანარჩენ რეგიონებში კი მეტ-ნაკლებად ერთნაირი რაოდენობით და ის 3–დან 5 მ<sup>3</sup>-მდე მერყეობს.

აჭარის, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების სოფლის მცხოვრებლები სატყეოდან იღებენ ნებართვას სამასალე მერქნის მოსაპოვებლად. განსხვავებული სიტუაციაა კახეთში, მცხეთა-მთიანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, სადაც, რესპონდენტთა უმრავლესობის ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსახლეობა არ იღებს ნებართვას სამასალე მერქნის მოსაპოვებლად. მათივე ინფორმაციით, პრაქტიკულად, ყველა რეგიონში ტყიდან სამასალე მერქნის მოპოვებაზე არ არსებობს რაიმე „არაოფიციალური“ გადასახადი.

სამიზნე რეგიონების მოსახლეობა საშუალოდ 1–5მ<sup>3</sup>-მდე სხვა რეგიონიდან შემოტანილ მერქანს ყიდულობს.

### 2.8.3 ტყეში მოპოვებული ველური საკვები ხილი / მცენარეები და სამკურნალო მცენარეები

სამიზნე რეგიონების მოსახლეობა ტყეში აგროვებს, ძირითადად, სოკოს, წაბლსა და კენკრას. გამოწვლის წარმოადგენს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი, სადაც მეტწილად სოფლებში ასეთ პრაქტიკას არ ეწევიან.

ტყეში შეგროვებული პროდუქტების ფასი 2–დან 10 ლარამდე მერყეობს.

ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის ყველა რეგიონში მეტ-ნაკლებად იყენებს სამკურნალო მცენარეებს (მათ შორის: ჟოლოს, მოცვსა და შინდს) სხვადასხვა ანთებითი დაავადების სამკურნალოდ.

აჭარისა და ქვემო ქართლის რეგიონების გარდა, სხვა სამიზნე რეგიონების მოსახლეობა სოფლის მიმდებარე ტყეებში თავად აგროვებს სამკურნალო მცენარეებს, რისთვისაც ნებართვის აღება არ არის საჭირო.

სამკურნალო მცენარეების შექმნა თითქმის ყველა რეგიონშია შესაძლებელი. უფრო ხშირად ყიდიან შინდს, ასკილსა და ველურ ჩაის.

### 2.8.4 ნადირობა

აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში სოფლების ახლოს არსებულ ტყეებში ნადირობის ტრადიცია თითქმის არ არსებობს. დანარჩენ რეგიონებში (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი) ნადირობის ტრადიციაზე უფრო მეტად საუბრობენ და ამტკიცებენ, რომ მათ სოფლებთან ახლოს მდებარე ტყეებში, ძირითადად, ადგილობრივი მცხოვრებლები ნადირობენ (თვეში ერთხელ). ამასთან ერთად, სამიზნე რეგიონებში უნებართვო ნადირობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია.

რესპონდენტების ინფორმაციით, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ყველა რეგიონში ფიქსირდება ნანადირევი ცხოველების რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირება.

სამიზნე რეგიონებიდან ნანადირევის ყიდვა-გაყიდვა ყველაზე მეტად სამეგრელო-ზემო სვანეთში ფიქსირდება.

### 2.8.5 ტყეების კულტურულ-რეკრეაციული გამოყენება და ტურიზმი

სამიზნე რეგიონების ტყეებს, რესპონდენტთა აზრით, აქვს კულტურული ფასეულობა. რეკრეაციული სარგებლობის თვალსაზრისით, აჭარის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონების გარდა, სხვა რეგიონების მოსახლეობა ტყეს დასასვენებლად და სასეირნოდ იყენებს.

ტყეებში არსებული უნიკალური ადგილების კატეგორიაში რესპონდენტები, ძირითადად, სარიტუალო და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ასახელებენ.

სამიზნე რეგიონებში სოფლის ტურიზმის მომსახურებაში, ძირითადად, სოფლის არამკვიდრი მოსახლეობაა ჩართული. გამონაკლისია აჭარის რეგიონი, სადაც ტურიზმით უფრო მეტად სოფლის ადგილობრივი მოსახლეობაა დაკავებული.

სამიზნე რეგიონების სოფლებში ტურისტებს შეუძლიათ, ისარგებლონ ოჯახური ტიპის სასტუმროსა და გიდის მომსახურებით.

სამიზნე რეგიონებში ტყის მასივების ტურისტული გამოყენება ნაკლებად ხდება. გამონაკლისია აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები, სადაც ამ საკითხზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, უფრო მეტი რესპონდენტი ამახვილებს ყურადღებას.

ტყის ტერიტორიებზე არ არის კერძო სასტუმროები ან სხვა ტიპის მომსახურების პუნქტები.

## **2.8.6 მოვება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე**

სამიზნე რეგიონების მოსახლეობა სოფლის სიახლოვეს არსებულ ტყეებში წელიწადში 5 თვეზე მეტხანს ამოვებს საქონელს. ოჯახში საქონლის სულადობა 2–დან 5–მდე მერყეობს. ტყეში არსებული სამოვრები ძირითადად გადანაწილებულია სოფლებს შორის.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონების გარდა, სხვა რეგიონებში ტყეში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება კერძო ფერმების არსებობა.

რესპონდენტების ინფორმაციით, სამიზნე რეგიონებში არ არის საჭირო ნებართვის აღება საქონლის მოვებისთვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სამიზნე რეგიონების სოფლების უმრავლესობაში არ არის გამოყოფილი. რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი აღნიშნავს ტყის ფონდის ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების ფაქტს, რომელთაც, ძირითადად, მრავალწლიანი კულტურების გაშენების მიზნით იყენებენ.

რესპონდენტების გარკვეული რაოდენობა აღნიშნავს აგრეთვე სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწების კერძო საკუთრებად დარეგისტრირების ფაქტებს. ამ მხრივ გამონაკლისს აჭარის რეგიონი წარმოადგენს.

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწების რეგისტრაცია სამიზნე რეგიონების

სოფლებში, ძირითადად, 2012 წლის არჩევნების (სექტემბერ–ოქტომბერი) პერიოდში ან მის შემდეგ მოხდა.

ასევე დაფიქსირებულია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვის / გასხვისების / პრივატიზების შემთხვევები. ამ მხრივ გამონაკლისი სამცხე–ჯავახეთის რეგიონია.

რესპონდენტები ამახვილებენ ყურადღებას აგრეთვე სოფლების სიახლოვეს არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში ტყით დაუფარავი ტერიტორიების პრივატიზაციის ფაქტებზე.

ტყის რესურსების გამოყენება ადგილობრივი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანია, ძირითადად, თაფლის, ტრადიციული ტანსაცმლისა და სხვა საყოფაცხოვრებო საგნების წარმოების თვალსაზრისით.

გამოკითხულთა აზრით, მათ სოფლებში არსებულ ტყეებს ძირითადად უნდა ჰქონდეს საშეშე–საყოფაცხოვრებო დანიშნულება, ხოლო ქვემო ქართლში ასევე ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებად ამ ტყეების გამოყენება.

რესპონდენტები ტყეების საკუთრების ფორმებიდან უპირატესობას სახელმწიფო და სათემო ტყეებს ანიჭებენ.

## 2.9 პასუხისმგებლობის განაწილება

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, სატყეო სექტორზე და, შესაბამისად, ტყის რესურსების მართვაზე პასუხისმგებელია სამხარეო ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა.

რესპონდენტების აზრით, სატყეო სექტორის მართვის გასაუმჯობესებლად აუცილებელია პოლიტიკური ნება, რომლის დეფიციტიც ამჟამად აშკარად შეინიშნება ქვეყნის სატყეო პოლიტიკაში.

### 3. კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

- ტყეების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესწავლა;
- სატყეო რესურსებზე მოთხოვნისა და საჭიროებების დადგენა;
- ტყეების მართვასთან დაკავშირებული პრობლემების ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე ზეგავლენის შესწავლა.

კვლევის კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს ისეთი საკითხების შესწავლა, როგორებიცაა:

- ტყეების მდგომარეობის შეფასება;
- ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა და ექსპლუატაცია;
- ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის პრაქტიკა, ხელმისაწვდომობა ტყის რესურსებზე და მისი მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- ადგილობრივი თემების ეკონომიკური მდგომარეობა;
- ტყეების მდგომარეობისა და სატყეო სექტორის მართვის სისტემის ცვლილებების შედეგების გავლენა ადგილობრივ თემებზე;
- ადგილობრივ თემებში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები;
- პასუხისმგებლობების განაწილება ტყის სექტორში.

## 4. კვლევის მეთოდოლოგია

### *თვისობრივი კვლევა*

- *მეთოდი*

ჩაღრმავებული ინტერვიუ არის თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ინტერვიუერის მიერ რესპონდენტის გამოკითხვას პირისპირ არასტრუქტურული ინტერვიუს საშუალებით, რომლის მიზანია კვლევის საკითხებთან დაკავშირებით რესპონდენტის მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების სიღრმისეული შესწავლა.

- *ტექნიკა და ინსტრუმენტი*

ჩვენს შემთხვევაში, კითხვარში მოცემული ღია კითხვები მიზნად ისახავდა სწორედ თვისობრივი ელემენტების გამოვლენას კვლევის ფარგლებში არსებულ საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

ინტერვიუერი რესპონდენტს აძლევდა საშუალებას, საკუთარი აზრი გამოეხატა კითხვარში არსებულ საკითხებზე და პარალელურად, ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშე, აფიქსირებდა რესპონდენტის პასუხს.

ინტერვიუს დასრულების შემდეგ კითხვარში დაფიქსირებული პასუხების შეყვანა მოხდა მონაცემთა ბაზის ფაილში უცვლელი სახით.

- *სამიზნე ჯგუფი და შერჩევა*

ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა ყველა რესპონდენტთან, რომელმაც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი არ გამოთქვამდა სურვილს, ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ დაეფიქსირებინა საკუთარი აზრი, ინტერვიუერი არ ახდენდა რაიმე სახის ზემოქმედებას მასზე იმისათვის, რათა რესპონდენტს აუცილებლად გაეცა პასუხი. შესაბამისად, აზრი გამოთქვა მხოლოდ მან, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. უნდა აღინიშნოს, რომ არ ყოფილა რესპონდენტი, რომელმაც ყველა ღია კითხვა უპასუხოდ დატოვა.

### *რაოდენობრივი კვლევა*

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის მეორე მეთოდი – რაოდენობრივი (დესკრიპტული კვლევა).

- *მეთოდი*

რაოდენობრივი (დესკრიპტული) კვლევა არის კვლევითი მეთოდი, რომელიც იძლევა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციას. ამ მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია საკვლევი ინდიკატორების სტატისტიკური გაზომვა და ანალიზი (ცვლადები, პარამეტრები, კავშირები, კორელაციები).



- **ტექნიკა და ინსტრუმენტი**

კითხვარში არსებული დახურული კითხვები ემსახურებოდა კვლევის სფეროს შესახებ რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას.

ღია კითხვების კოდირება მიმდინარეობდა სავსე სამუშაოების დასრულების შემდეგ. კოდირების მომდევნო ეტაპზე მოხდა მონაცემების სპეციალურ სტატისტიკურ პროგრამაში (SPSS) შეყვანა და სტატისტიკური დამუშავება (მონაცემების გაწმენდა და ანალიზი).

კვლევამ მოიცვა სამიზნე რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტი, ინტერვიუების რაოდენობა რეგიონების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

**ცხრილი №1. ინტერვიუების განაწილება რეგიონების მიხედვით**

| რეგიონი                    | ინტერვიუების რაოდენობა |
|----------------------------|------------------------|
| აჭარა                      | 351                    |
| კახეთი                     | 166                    |
| მცხეთა - მთიანეთი          | 176                    |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 131                    |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი     | 220                    |
| სამცხე-ჯავახეთი            | 434                    |
| ქვემო ქართლი               | 455                    |
| <b>სულ</b>                 | <b>1,933</b>           |

თითოეული მუნიციპალიტეტის ფარგლებში გამოიკითხა ყველა სოფლის წარმომადგენელი (თითო წარმომადგენელი თითო სოფლიდან, შეირჩა ყველაზე ინფორმირებული პირი, რომელიც მეტ-ნაკლებად ფლობდა სრულ ინფორმაციას სოფლის შესახებ).

## 5. შედეგები, ანალიზი და ინტერპრეტაცია

მოცემულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, მათი ანალიზი და ინტერპრეტაცია. ქვემოთ მოყვანილი თითოეული დასკვნა ეფუძნება კვლევის მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებასა და თვისობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

### 5.1 ტყეების მდგომარეობის შეფასება წლების მიხედვით

რესპონდენტების აზრით, ტყეების მდგომარეობის ცვლილების დინამიკა უარყოფითია და თანდათანობით უარესდება. ტყეების ადგილს ბუჩქნარი და ბარდი იკავებს. შესაბამისად, ტყეებიდან ქრება ადრე აქ გავრცელებული ცხოველები. ტყეების მდგომარეობის გაუარესება აისახება იმ ფაქტშიც, რომ ისინი კარგავენ რეკრეაციულ და ესთეტიკურ ღირებულებას. წლების მიხედვით ამ მხრივ მზარდი ტენდენცია შეინიშნება. ასევე მძიმე მდგომარეობაა სატყეო გზებთან დაკავშირებით – ინტენსიურად მიმდინარეობს მათი ეროზია და დახრამვა, უტყეო ფერდობები ირეცხება და იმეწყრება, გაზრდილია ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი. ტყეების დეგრადაციის შედეგად სოფლებს სასმელი წყლის პრობლემები ექმნებათ.

ტყეების მდგომარეობის შეფასების კომპონენტში დადებითი დინამიკა ფიქსირდება მხოლოდ აჭარაში 2010–დან 2012 წლამდე.

აჭარაში რედესაც საუბრობენ ტყეების დეგრადაციაზე, გულისხმობენ, ძირითადად, 2000 და 2005 წლებს. ტყეების ყველაზე ცუდი მდგომარეობა ფიქსირდება 2005, 2010 წლებში, 2012 წელს კი გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება.

რესპონდენტების ინფორმაციით, ტყეების მდგომარეობის გაუარესება კახეთის რეგიონშიც აღინიშნება, სადაც ტყეების სიხშირე თანდათანობით კლებულობს, ზოგან კი ტყეები უკვე პირწმინდადაა გაჩეხილი (ამ მხრივ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაურესდა 2010, 2012 წლებში). კახეთის ტყეებს მნიშვნელოვანწილად დაკარგული აქვთ რეკრეაციული და ესთეტიკური ღირებულება, გაკაფულ ფერდობებზე დაწყებულია ეროზიული პროცესები, ფერდობები ჩამორეცხილი და დამეწყრილია, გაზრდილია ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი და, საერთოდ, შეინიშნება გაუარესების ტენდენცია.

ასევე საგანგაშოდ არის შეფასებული ტყის მდგომარეობის ცვლილების დინამიკა მცხეთა–მთიანეთს, რაჭა–ლეჩხუმ–ქვემო სვანეთისა და სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონებში. ამ რეგიონებში აშკარად აღინიშნება ტყის მდგომარეობის გაუარესების ტენდენცია.

სამცხე-ჯავახეთში აღნიშნავენ სატყეო გზების დაზიანებისა და დახრამვის ფაქტებს, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფენ 2010–2012 წლებს. ასევე საუბარია

გაკაფულ ფერდობებზე, ეროზიული და მეწყრული პროცესების გააქტიურებაზე, ეს ეხება განსაკუთრებით 2012 წელს.

რესპონდენტები ქვემო ქართლის რეგიონშიც აღნიშნავენ ტყეების სიხშირის შემცირებას, პირწმინდად გაჩეხილი ადგილების გაფართოებას. აქვე 2010 წელთან შედარებით 2012 წელს მნიშვნელოვნად არის გაუარესებული სატყეო გზების მდგომარეობა.

აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული №2 დანართში.

ტყეების მდგომარეობის შეფასებისას მნიშვნელოვანია იმ შედეგ(ებ)ის განხილვა, რომელიც მოჰყვება, გამოკითხული მოსახლეობის აზრით, ტყეების არასწორ ექსპლუატაციას და/ან მისგან გამოწვეულ შედეგებს:

**ცხრილი №2. ტყეების არასწორი ექსპლუატაციის შედეგად დაზიანების ფორმები (დასახელების სიხშირე)**

|   | აჭარა | კახეთი | მცხეთა-მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---|-------|--------|-----------------|----------------------------|------------------------|-----------------|--------------|
| დაზიანდა / ზიანდება სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეები | 46.9% | 7.9%   | 27.0%           | 15.8%                      | 21.6%                  | 25.6%           | 25.1%        |
| დაზიანდა/ზიანდება ბუნების ძეგლები   | 34.9% | 8.2%   | 18.7%           | 28.7%                      | 31.2%                  | 23.7%           | 24.7%        |
| დაზიანდა / ზიანდება რეკრეაციული / დასასვენებელი ადგილები  | 15.2% | 44.3%  | 25.2%           | 17.1%                      | 15.4%                  | 20.5%           | 22.3%        |
| დაზიანდა / ზიანდება სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეები (ტყეების ზოლმა აიწია)              | 25.9% | 40.9%  | 31.8%           | 25.9%                      | 26.2%                  | 14.7%           | 14.7%        |
| ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩნდა ბუნებრივი კატასტროფების კერები                           | 14.4% | 30.9%  | 8.9%            | 25.5%                      | 11.3%                  | 25.1%           | 23.9%        |
| მოიმატა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირემ  | 15.6% | 8.8%   | 9.5%            | 17.5%                      | 22.5%                  | 22.3%           | 23.8%        |

№2 ცხრილიდან ჩანს, რომ ყურადღებას იპყრობს, ძირითადად, შემდეგი პრობლემები:

- სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეების დაზიანება (აჭარა, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი);

- ბუნების ძეგლების დაზიანება (აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი და ქვემო ქართლი);
- რეკრეაციული/დასასვენებელი ადგილების დაზიანება (კახეთი);
- სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეების დაზიანება (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი);
- ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე ბუნებრივი კატასტროფების კერების წარმოქმნა (რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი).

## 5.2 ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების ექსპლუატაცია

ტყეების მდგომარეობის ზემოთ აღნიშნული შეფასების მიუხედავად, მოსახლეობა ტყეთსარგებლობის მასშტაბის შეფასებისას საკმაო ზომიერებას იჩენს.

ცხრილი №3. სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეების ხეტყის ექსპლუატაციის მასშტაბები

|  | აჭარა | კახეთი | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|--|-------|--------|----------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| ხე-ტყის მოპოვებას<br>მასშტაბური ხასიათი არა აქვს                                 | 58.3% | 45.6%  | 45.4%                | 45.3%                          | 55.8%                     | 57.1%           | 55.3%        |
| შეიძლება ითქვას, რომ ხეტყის<br>მოპოვებას მეტ-ნაკლებად<br>მასშტაბური ხასიათი აქვს | 33.7% | 31%    | 36.9%                | 44.4%                          | 35.3%                     | 34.8%           | 36.2%        |
| ხეტყე მასშტაბურად<br>მოიპოვება   | 6.4%  | 10.1%  | 12.1%                | 6.8%                           | 3.2%                      | 5.6%            | 6.1%         |
| ხეტყის მოპოვებას ძალიან<br>ინტენსიური, მასშტაბური<br>ხასიათი აქვს                | 1.5%  | 13.3%  | 5.7%                 | 3.4%                           | 5.8%                      | 2.5%            | 2.4%         |

ცხრილი №3 გვიჩვენებს, რომ სოფლების სიახლოვეს არსებული ტყეებიდან ხეტყის მასშტაბურ ექსპლუატაციაზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში უფრო მეტი რესპონდენტი საუბრობს.

ტყეების მდგომარეობის გაუარესების გარდა, მოსახლეობა აღნიშნავს ტყეებზე ხელმისაწვდომობისა და ხეტყის ექსპლუატაციის შემცირების ფაქტებსაც. თუმცა ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი ტყეების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მიღებული ზომები კი არა, სწორედ ტყეების დეგრადაციაა, რის გამოც მოსახლეობა ტყეებით სარგებლობას ვეღარ ახერხებს (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი).

**ცხრილი №4. შემცირებულია თუ არა სოფლის სიახლოვეს ხეტყის ექსპლუატაცია?**

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| დიახ                               | <b>48.1%</b> | 30.7%        | 45.3%                | <b>52.2%</b>                   | 38.8%                     | <b>47.0%</b>    | <b>44.6%</b> |
| არა                                | 44.3%        | <b>67.3%</b> | <b>54.7%</b>         | 41.7%                          | <b>60.7%</b>              | 42.3%           | 44.3%        |
| არ ვიცი / მიჭირს<br>პასუხის გაცემა | 7.6%         | 2%           | 0%                   | 6%                             | 0.5%                      | 10.7%           | 11.1%        |

რესპონდენტები, რომელთა ინფორმაციაზე დაყრდნობითაც, მათი სოფლების სიახლოვეს არსებულ ტყეებში შემცირებულია ხეტყის ექსპლუატაცია, ასახელებენ შემდეგ ძირითად მიზეზებს:

**ცხრილი №5. სოფლის სიახლოვეს ხეტყის ექსპლუატაციის შემცირების მიზეზები**

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| კანონის გამკაცრება                 | 7.2%         | <b>26.7%</b> | <b>43.5%</b>         | <b>23.1%</b>                   | <b>22%</b>                 | 4.7%                | 4.3%         |
| ინვესტორის<br>შემოსვლა             | 0%           | 6.7%         | 0%                   | 0%                             | 2%                         | 0.6%                | 0%           |
| სატყეო გზების<br>არარსებობა        | 6.3%         | 0%           | 4.3%                 | <b>15.4%</b>                   | 2%                         | 5.6%                | 5.7%         |
| ტყის დეგრადაცია                    | <b>13.5%</b> | <b>66.7%</b> | <b>52.2%</b>         | 9.2%                           | <b>66%</b>                 | <b>8.6%</b>         | <b>11.7%</b> |
| არ ვიცი / მიჭირს<br>პასუხის გაცემა | 73.1%        | 0%           | 0%                   | 52.3%                          | 8%                         | 80.5%               | 78.3%        |

როგორც ვხედავთ, სოფლის სიახლოვეს არსებულ ტყეებში ხეტყის ჭრის შემცირების ძირითად მიზეზებს შორის მოსახლეობა ტყის დეგრადაციასა და კანონის გამკაცრებას ასახელებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გარდა, სხვა რეგიონებში უჭირთ ხეტყის ჭრის შემცირების მიზეზის დასახელება.

მიუხედავად იმისა, რომ, რესპონდენტთა უმრავლესობის ინფორმაციით, ყველა რეგიონში ადგილობრივ მოსახლეობას გამოაქვს ტყიდან მერქნული რესურსები, გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიუთითებს, რომ მოსახლეობა ტყიდან მერქნული რესურსის გამოტანას ვერ ახერხებს. ეს განსაკუთრებით ნათლად არის გამოკვეთილი კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

**ცხრილი №6. გამოაქვს თუ არა მოსახლეობას ტყიდან მერქნული რესურსები?**

|                                    | აჭარა        | კახეთი     | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-<br>ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|------------|----------------------|------------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| დიახ, გამოაქვს                     | <b>65.4%</b> | 48.4%      | <b>61.9%</b>         | <b>58.5%</b>                       | 43.5%                      | <b>65%</b>          | <b>62.6%</b> |
| არა, ვერ გამოაქვს                  | 32.3%        | <b>51%</b> | 38.1%                | 39.8%                              | <b>56.5%</b>               | 31.2%               | 33.1%        |
| არ ვიცი / მიჭირს<br>პასუხის გაცემა | 2.2%         | 0%         | 0%                   | 1.6%                               | 0%                         | 3.8%                | 4.3%         |


აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობა ნაკლებად აკეთებს აქცენტს მსხვილ ლიცენზიანტებზე, რაც ლოგიკურია, რადგან ლიცენზირებული ტყეები დასახლებული პუნქტებიდან დაშორებულია. იმ სოფლების შედარებით მცირე რაოდენობა, რომლებიც ასეთ ტყეებს ესაზღვრება, საერთო მაჩვენებლებს ვერ გაზრდის.

მსხვილი კომპანიების შესახებ, რომლებიც ადგილობრივ ხეტყეს ამუშავებენ, მხოლოდ კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთშია მოსახლეობა ინფორმირებული და აქვე უნდა აღინიშნოს რესპონდენტების საკმაოდ მცირე რაოდენობა (კახეთი – 2.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 4.2%).

მოსახლეობის მცირე ნაწილი კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში ტყეზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვას სწორედ ლიცენზიანტს / ინვესტორს უკავშირებს.

განსხვავებულია სიტუაცია, როცა კითხვა ლიცენზიანტის მხრიდან შეზღუდვის დაწესებას ეხება. ასეთ შემთხვევაში გამოკითხულთა უმრავლესობა ლაპარაკობს გარკვეული ტიპის შეზღუდვებზე ხეტყის ჭრის პერიოდში ტყის ცალკეულ უბნებზე.

**გრაფიკი №1. ლიცენზიანტების მხრიდან ტყის ცალკეულ უბნებზე ვრცელდება გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ**



აქ საუბარია გარკვეული ტიპის შეზღუდვებზე და არა მოსახლეობისათვის ტყეში შესვლის სრულ შეზღუდვაზე. თუმცა, როგორც №7 ცხრილიდან ჩანს, სხვა რეგიონებთან შედარებით, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში უფრო მეტი რესპონდენტი ლაპარაკობს ტყეში შესვლის სრულ აკრძალვაზე.

**ცხრილი №7. ლიცენზიანტები მოსახლეობას საერთოდ უკრძალავენ ტყეში შესვლას**

|                                 | აჭარა | კახეთი | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---------------------------------|-------|--------|-------------------|----------------------------|------------------------|-----------------|--------------|
| დიახ                            | 0%    | 29.7%  | 23.8%             | 36.4%                      | 32.1%                  | 7.7%            | 16.0%        |
| არა                             | 100%  | 70.3%  | 76.2%             | 45.5%                      | 67.9%                  | 92.3%           | 84%          |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 0%    | 0%     | 0%                | 18.2%                      | 0%                     | 0%              | 0%           |

რესპონდენტების გამოკითხვის საფუძველზე ფიქსირდება აგრეთვე გარკვეული კონფლიქტი ლიცენზიანტსა და მოსახლეობას შორის. კონფლიქტურ სიტუაციებზე განსაკუთრებული აქცენტი კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში კეთდება.

**ცხრილი №8. არსებობს კონფლიქტი ლიცენზიანტსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის**

|                                       | აჭარა | კახეთი | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---------------------------------------|-------|--------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| არა, კონფლიქტი არ არსებობს            | 66.2% | 68.6%  | 81.9%                | 74.5%                          | 73.6%                      | 76.3%               | 28.9%        |
| დიახ, მცირედენი გაურკვევლობა არსებობს | 29.2% | 16.3%  | 12.5%                | 17%                            | 20.8%                      | 18.4%               | 55.6%        |
| დიახ, კონფლიქტური სიტუაციები არის     | 4.6%  | 14%    | 5.6%                 | 0%                             | 5.7%                       | 5.3%                | 15.6%        |
| დიახ, არის ძალიან მწვავე კონფლიქტი    | 0%    | 1.2%   | 0%                   | 8.5%                           | 0%                         | 0%                  | 0%           |

ცხრილში მოცემულ მონაცემებთან დაკავშირებით გაურკვევლობას იწვევს მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლში, სადაც ლიცენზიები, საერთოდ, არ არის გაცემული.

ხეტყის ჭრის მასშტაბების შემცირებაზე საუბარი განპირობებულია სოფლების სიახლოვეს ადრე არსებული სახერხების დახურვით, რის შემდეგაც სოფლების უმეტესობა ხეტყეს მოიპოვებს მცირე მასშტაბით მხოლოდ ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით და ის ბიზნესის წყაროს აღარ წარმოადგენს.

რესპონდენტების ინფორმაციით, ადრე სოფლის სიახლოვეს არსებული სახერხები გაუქმდა/შეჩერდა.

**ცხრილი №9. სოფლის სიახლოვეს ადრე არსებული სახერხები გაჩერებულია**

|                                 | აჭარა | კახეთი | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---------------------------------|-------|--------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| სახერხები გაჩერებულია           | 51.7% | 57.9%  | 51.4%                | 62.6%                          | 59%                        | 55%                 | 48%          |
| სახერხები გაჩერებული არ არის    | 24.5% | 41.3%  | 48.6%                | 30.4%                          | 39.9%                      | 16%                 | 25.3%        |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 23.8% | 0.8%   | 0%                   | 7%                             | 1.1%                       | 29%                 | 26.7%        |

გამოკითხულთა უმრავლესობის ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამიზნე რეგიონების სოფლების სიახლოვეს აღარ ფუნქციონირებს სახერხები (აჭარა – 87.2%, კახეთი – 79.6%, მცხეთა-მთიანეთი – 96.9%, რაჭა-ლეჩხუმი- ქვემო სვანეთი –



85.8%, სამეგრელო-ზემო სვანეთი – 71.6%, სამცხე-ჯავახეთი – 90%, ქვემო ქართლი – 93.5%).

ხოლო იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელიც აფიქსირებს მათი სოფლის სიახლოვეს სახერხების ფუნქციონირებას, საუბრობს, საშუალოდ, 2 სახერხზე.

**ცხრილი №10. სოფლის სიახლოვეს არსებული სახერხების რაოდენობა**

|                                    | აჭარა      | კახეთი     | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|------------|------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| ფუნქციონირებს ერთი სახერხი საწარმო | 12%        | 20%        | 3%                   | 13%                            | 28%                        | 9%                  | 6%           |
| ფუნქციონირებს ორი სახერხი საწარმო  | <b>87%</b> | <b>80%</b> | <b>97%</b>           | <b>86%</b>                     | <b>72%</b>                 | <b>90%</b>          | <b>93%</b>   |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა    | 1%         | 0%         | 0%                   | 1%                             | 0%                         | 1%                  | 1%           |

გამოკითხულთა ინფორმაციით, ყველა რეგიონში ხეტყის ჭრა, ძირითადად, ადგილობრივი საჭიროების დაკმაყოფილების მიზნით ხდება. ცალკე გამოსაყოფია მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, სადაც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მეტი რესპონდენტი (38%) აღნიშნავს, რომ ხეტყის მოპოვება ხდება როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე სხვა დანიშნულებით.


**ცხრილი №11. სოფლის სიახლოვეს ხეტყის გამოყენების ძირითადი დანიშნულება**

|   | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებისათვის                        | <b>77.4%</b> | <b>74.7%</b> | <b>62%</b>           | <b>82%</b>                     | <b>89.1%</b>              | <b>73.3%</b>    | <b>74.3%</b> |
| როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე სხვა დანიშნულებით | 18.1%        | 25.3%        | 38%                  | 16.4%                          | 10.9%                     | 19.6%           | 19.9%        |
| სხვა დანიშნულებისათვის                                    | 0.8%         | 0%           | 0%                   | 1.6%                           | 0%                        | 2.2%            | 1%           |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა                           | 3.8%         | 0%           | 0%                   | 0%                             | 0%                        | 4.9%            | 4.8%         |

ადგილობრივი მოხმარების გარდა, ტყეების „სხვა დანიშნულებით“ გამოყენებაში მოსახლეობა უმეტესად სახელმწიფო პროგრამებს გულისხმობს. ასეთი

პროგრამების შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების რაოდენობა 23–34 %-მდე მერყეობს.

**გრაფიკი №2. გამოიყენება თუ არა ადგილობრივი ხეტყე სახელმწიფო პროგრამებისთვის?**



რესპონდენტთა ის ნაწილი, რომლის ინფორმაციითაც, ადგილობრივი ხეტყე სახელმწიფო პროგრამებისთვის იჭრება, ძირითადად ასახელებს შემდეგ სახელმწიფო პროგრამებს: სახელმწიფო დაწესებულებებისა და დევნილების შემთხვევით უზრუნველყოფას.

**ცხრილი №12. სახელმწიფო პროგრამა, რომლისათვისაც ადგილობრივი ხეტყე გამოიყენება**

|  | აჭარა      | კახეთი     | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი | სულ        |
|--|------------|------------|-------------------|----------------------------|------------------------|-----------------|--------------|------------|
| საჯარისო ნაწილების შემთხვევით უზრუნველყოფა           | 10%        | 6%         | 12%               | 1%                         | 5%                     | 12%             | 23%          | 13%        |
| სახელმწიფო დაწესებულებების შემთხვევით უზრუნველყოფა   | <b>53%</b> | <b>61%</b> | <b>47%</b>        | <b>51%</b>                 | <b>57%</b>             | <b>50%</b>      | <b>26%</b>   | <b>46%</b> |
| დევნილების შემთხვევით უზრუნველყოფა                   | 17%        | 13%        | 20%               | 23%                        | 18%                    | 19%             | 30%          | 21%        |
| სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევით უზრუნველყოფა | 20%        | 20%        | 21%               | 25%                        | 20%                    | 19%             | 21%          | 20%        |

ზოგიერთ სამიზნე რეგიონში (ეს ეხება, ძირითადად, კახეთს, მცხეთა-მთიანეთს, სამეგრელო-ზემო სვანეთს) გამოკითხული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მიუთითებს ხეტყის უკონტროლო, არაორგანიზებულ მოპოვებაზე:

**ცხრილი №13. ხდება/ხდებოდა თუ არა ხეტყის არაორგანიზებული, უკონტროლო ჭრა**


|                                    | აჭარა | კახეთი | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|-------|--------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| არასოდეს                           | 67.6% | 52.4%  | 38.5%                | 51.3%                          | 43.5%                      | 38.9%               | 48.5%        |
| იშვიათად                           | 4.4%  | 17.7%  | 19.7%                | 5%                             | 29.8%                      | 18.5%               | 10.6%        |
ტყის ან სატყეო უბნების ტურისტული გამოყენება უფრო ხშირია აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში.

**გრაფიკი №26. გამოიყენება თუ არა ტყე/სატყეო ტერიტორიები ტურისტული დანიშნულებით?**



რესპონდენტები ტურისტული დანიშნულებით ტყეების გამოყენების შემდეგ ფორმებს ასახელებენ (დალაგებულია დასახელების სიხშირის მიხედვით):

- აჭარა – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები; ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ინადირონ ტყეში;
- კახეთი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები; ტყეში მოწყობილია საპიკნიკე და ღამის გასათევი ადგილები, ტურისტებს სთავაზობენ სოკოსა და კენკრის მოგროვებას;
- მცხეთა-მთიანეთი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები, ტყეში ნადირობა, ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ინადირონ ტყეში, ასევე მოაგროვონ სოკო და კენკრა;
- რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები; ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ინადირონ ტყეში;
- სამცხე-ჯავახეთი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები;
- ქვემო ქართლი – სპორტულ-კულტურული ღონისძიებები და ეკოტურები; ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ინადირონ ტყეში, მოაგროვონ სოკო და კენკრა.

სამიზნე რეგიონებში ტყის ტერიტორიებზე არ არის კერძო სასატუმროები ან სხვა ტიპის მომსახურების პუნქტები:

**ცხრილი №71. არის თუ არა კერძო სასტუმროები/მომსახურების პუნქტები ტყის ტერიტორიაზე?**

|      | აჭარა        | კახეთი     | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------|--------------|------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| დიახ | 8.1%         | 26%        | 23.6%                | 25.4%                          | 15.4%                      | 14.5%               | 14.3%        |
| არა  | <b>91.9%</b> | <b>74%</b> | <b>76.4%</b>         | <b>74.6%</b>                   | <b>84.6%</b>               | <b>85.5%</b>        | <b>85.7%</b> |

ის რესპონდენტები, რომლებიც ასეთი სასტუმროებისა და /ან სხვა ტიპის მომსახურების პუნქტების არსებობის შესახებ საუბრობენ, ამბობენ, რომ ისინი აშენდა, ძირითადად, 2005–2010 წლებში. რესპონდენტების ნაწილი საუბრობს იმაზე, რომ ასეთი ობიექტების მშენებლობა ახლაც მიმდინარეობს:


**ცხრილი №72. როდის აშენდა აღნიშნული სასტუმროები/მომსახურების პუნქტები ტყის ტერიტორიაზე?**

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი |
|------------------------------------|--------------|--------------|------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|
| საბჭოთა პერიოდში                   | 7.1%         | <b>37.5%</b> | 0%               | 0%                             | 20%                       | 33.3%           |
| 1990–2005 წლებში                   | 0%           | 0%           | 33.3%            | 0%                             | 20%                       | 0%              |
| 2005–2010 წლებში                   | <b>42.9%</b> | 12.5%        | 16.7%            | 0%                             | <b>40%</b>                | 0%              |
| 2011–1012 წლებში                   | 14.3%        | <b>25%</b>   | 33.3%            | 0%                             | 0%                        | 0%              |
| მშენებლობა ახლა<br>მიმდინარეობს    | <b>35.7%</b> | <b>25%</b>   | 16.7%            | 0%                             | 20%                       | <b>66.7%</b>    |
| არ ვიცი / მიჭირს<br>პასუხის გაცემა | 0%           | 0%           | 0%               | 100%                           | 0%                        | 0%              |

**5.8.6 მოვება და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე**

სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეები გამოიყენება საძოვრებად. ამ მხრივ განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში, ყველაზე მცირე კი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში.

**გრაფიკი №27. გამოიყენება თუ არა სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეები საძოვრებად?**



სამიზნე რეგიონების სოფლებში საქონლის სულადობის მხრივ, საშუალოდ, ერთ ოჯახზე ასეთი სურათი გვაქვს:

| რეგიონი                    | საქონლის რაოდენობა ერთ ოჯახზე |
|----------------------------|-------------------------------|
| აჭარა                      | 5.3                           |
| კახეთი                     | 1.6                           |
| მცხეთა - მთიანეთი          | 1.8                           |
| რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | 4.2                           |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი     | 3.4                           |
| სამცხე-ჯავახეთი            | 2.0                           |
| ქვემო ქართლი               | 2.0                           |

ამრიგად, საქონლის ყველაზე მეტი რაოდენობა ერთ ოჯახზე აჭარისა და რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში აღინიშნება, ყველაზე ცოტა კი – კახეთში. მოსახლეობა წელიწადში 5 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ამოვებს საქონელს:

**ცხრილი №73. წელიწადში რამდენი თვის განმავლობაში ამოვებენ სოფლის ოჯახები საქონელს?**

|              | აჭარა | კახეთი | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი |
|--------------|-------|--------|-------------------|----------------------------|------------------------|-----------------|
| 3-5 თვე      | 26.6% | 12.4%  | 14.4%             | 15.2%                      | 13%                    | 19.7%           |
| 5 თვეზე მეტი | 73.4% | 87.6%  | 85.6%             | 84.8%                      | 87%                    | 80.3%           |

სოფლების მნიშვნელოვან ნაწილში ტყეში არსებული საძოვრები გადანაწილებულია სოფლებს შორის:

**ცხრილი №74. არის თუ არა განაწილებული ტყეში არსებული საძოვრები სოფლებს შორის?**

|      | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| დიახ | 22.8%        | 39.3%        | 32.0%                | <b>59.8%</b>                   | 43.1%                      | 35.9%               | 25.7%        |
| არა  | <b>77.2%</b> | <b>60.7%</b> | <b>68.0%</b>         | 40.2%                          | <b>56.9%</b>               | <b>64.1%</b>        | <b>74.3%</b> |

სამიზნე რეგიონებში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება აგრეთვე ტყის ტერიტორიაზე კერძო ფერმების არსებობა. გამონაკლისი აქ რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონია, სადაც ასეთი შემთხვევები არ დაფიქსირებულა.


**ცხრილი №75. არის თუ არა კერძო ფერმები ტყის ტერიტორიაზე?**

|      | აჭარა      | კახეთი       | მცხეთა -მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------|------------|--------------|------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| დიახ | 9%         | 14.3%        | 1.3%             | 0%                             | 10.5%                     | 8.5%            | 7.8%         |
| არა  | <b>91%</b> | <b>85.7%</b> | <b>98.8%</b>     | <b>100%</b>                    | <b>89.5%</b>              | <b>91.5%</b>    | <b>92.2%</b> |

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, სამიზნე რეგიონებში არ არის საჭირო სატყეოდან ნებართვის აღება საქონლის ძოვებისთვის.


სამიზნე რეგიონების სოფლების უმრავლესობაში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები არ არის გამოყოფილი. მსგავსი პრაქტიკა შედარებით ხშირია კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში

**გრაფიკი №28. არის თუ არა გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე თქვენს სოფელში/რაიონში?**



რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი მიუთითებს ტყის ფონდის ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებაზე (მათ შორის, იმ სოფლებშიც, სადაც ასეთი დანიშნულების ტერიტორიები არ არის გამოყოფილი).

**გრაფიკი №29. იყენებს თუ არა სოფლის/რაიონის მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე?**



ამ ტერიტორიების გამოყენება ძირითადად ხდება მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად, ცალკე შეგვიძლია აღვნიშნოთ აჭარა, სადაც რესპონდენტთა 25.4% ამბობს, რომ მოსახლეობა ამ ტერიტორიებს ერთწლიანი კულტურების (სიმინდი, კარტოფილი, პომიდორი) მოსაყვანადაც იყენებს.



**ცხრილი №76. ძირითადად, რა კულტურებისთვის იყენებს ადგილობრივი მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე?**

|   | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| ერთწლიანი კულტურები<br>(სიმინდი, კარტოფილი,<br>პომიდორი)  | 25.4%        | 0%           | 0%                   | 12%                            | 0%                         | 31.1%               | 31.4%        |
| მრავალწლიანი<br>კულტურები (თხილი,<br>კაკალი, ვაშლი, სხვ.) | <b>69.3%</b> | <b>95.5%</b> | <b>95.2%</b>         | <b>85.3%</b>                   | <b>94.3%</b>               | <b>65.2%</b>        | <b>65.1%</b> |
| სათიბი  | 3.9%         | 3.4%         | 0%                   | 2.7%                           | 4.8%                       | 2.5%                | 2.2%         |
| ტყის პლანტაციები  | 1.5%         | 1.1%         | 4.8%                 | 0%                             | 1%                         | 1.2%                | 1.3%         |

რესპონდენტების გარკვეული რაოდენობა საუბრობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კერძო საკუთრებად დარეგისტრირების შემთხვევებზე. აქ გამონაკლისს მხოლოდ აჭარის რეგიონი წარმოადგენს.

**ცხრილი №77. დარეგისტრირებულია თუ არა თქვენს სოფელში/რაიონში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწები, როგორც კერძო საკუთრება?**

|                                    | აჭარა       | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|-------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| დიახ                               | 0%          | 8.9%         | 6.6%                 | 8.9%                           | 8.8%                       | 5.3%                | 12%          |
| არა                                | <b>100%</b> | <b>90.2%</b> | <b>93.4%</b>         | <b>89.9%</b>                   | <b>89.5%</b>               | <b>94.7%</b>        | <b>88%</b>   |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის<br>გაცემა | 0.0%        | 0.8%         | 0%                   | 1.3%                           | 1.8%                       | 0%                  | 0%           |

როგორც გამოკითხვიდან ირკვევა, სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწების რეგისტრაცია სამიზნე რეგიონების სოფლებში, ძირითადად, 2012 წლის არჩევნების (სექტემბერ-ოქტომბერი) ან მის შემდეგ პერიოდში მოხდა.

ცხრილი №78. როდის მოხდა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწების რეგისტრაცია თქვენს სოფელში/რაიონში?

|  | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|--|--------------|--------------|-------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| 2012 წლამდე  | 2.2%         | 0%           | 0%                | 1.6%                           | 0%                        | 3.8%            | 4.3%         |
| 2012 წლის არჩევნების<br>პერიოდში (სექტემბერ-<br>ოქტომბერი) | <b>65.4%</b> | <b>48.4%</b> | <b>61.9%</b>      | <b>58.5%</b>                   | <b>43.5%</b>              | <b>65.0%</b>    | <b>62.6%</b> |
| 2012 წლის არჩევნების<br>შემდეგ                             | <b>32.3%</b> | <b>51.0%</b> | <b>38.1%</b>      | <b>39.8%</b>                   | <b>56.5%</b>              | <b>31.2%</b>    | <b>33.1%</b> |

რესპონდენტთა მიერ ფიქსირდება სოფლებში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვის/გასხვისების/პრივატიზების შემთხვევებიც. ამ შემთხვევაში გამონაკლისი მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონია.

ცხრილი №79. არის თუ არა სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვის/გასხვისების/პრივატიზების შემთხვევები თქვენს სოფელში/რაიონში?

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|--------------|-------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| დიახ                               | 1.5%         | 9.2%         | 2.8%              | 9.7%                           | 3.8%                      | 0%              | 2.8%         |
| არა                                | <b>98.5%</b> | <b>90.8%</b> | <b>97.2%</b>      | <b>88.9%</b>                   | <b>96.2%</b>              | <b>100%</b>     | <b>97.2%</b> |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის<br>გაცემა | 0%           | 0%           | 0%                | 1.4%                           | 0%                        | 0%              | 0%           |

რესპონდენტები მიუთითებენ აგრეთვე სამიზნე რეგიონების სოფლების სიახლოვეს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული ტყით დაუფარავი ფართობების პრივატიზაციის ფაქტებზე.

**ცხრილი №80. გსმენიათ თუ არა თქვენი სოფლის სიახლოვეს/რაიონში სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე არსებული ტყით დაუფარავი ფართობების პრივატიზაციის შესახებ?**

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| დიახ                               | 1.6%         | 8.9%         | 4.7%                 | 7.0%                           | 8.9%                       | 13.7%               | 10.5%        |
| არა                                | <b>98.4%</b> | <b>90.2%</b> | <b>95.3%</b>         | <b>91.2%</b>                   | <b>91.1%</b>               | <b>86.3%</b>        | <b>89.5%</b> |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის<br>გაცემა | 0.0%         | 0.9%         | 0.0%                 | 1.8%                           | 0.0%                       | 0.0%                | 0.0%         |

მოსახლეობისათვის ტყის გამოყენების შემდეგი ფორმებია მნიშვნელოვანი:

- თაფლის წარმოება (თაფლოვანი მერქნიანი მცენარეებით);
- ტრადიციული ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო საგნების წარმოება ტყის რესურსებით;
- საღებავი და მთრიმლავი ნივთიერებების წარმოება.

სამიზნე რეგიონების ჭრილში ამ საკითხთან მიმართებით არსებული სიტუაცია ასახულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

**ცხრილი №81. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ტყის გამოყენების სხვა მნიშვნელოვანი სახეები (დასახელების სიხშირის მიხედვით)**

|   | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|---|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| თაფლის წარმოება (თაფლოვანი<br>მერქნიანი მცენარეებით)                                  | <b>20%</b>   | <b>30%</b>   | <b>35%</b>           | 10%                            | <b>20%</b>                 | <b>40%</b>          | <b>40%</b>   |
| ტრადიციული მეხეური<br>მეფუტკრეობა   | <b>36%</b>   | 18.7%        | <b>26.9%</b>         | <b>37.8%</b>                   | 13.2%                      | 23.4%               | 24%          |
| ტრადიციული ტანსაცმლისა და<br>საყოფაცხოვრებო საგნების<br>წარმოება ტყის რესურსებით      | 21.8%        | <b>40%</b>   | <b>30%</b>           | <b>31.8%</b>                   | <b>30%</b>                 | <b>52.9%</b>        | 23.5%        |
| საყოფაცხოვრებო გარემოს<br>გალამაზება ტყის რესურსებით                                  | 14.0%        | 11.1%        | 25.7%                | 25.8%                          | 16.1%                      | <b>43.3%</b>        | <b>23.9%</b> |
| საკალათე, საწნავი, ასახვევი,<br>საბალიშე, საჭილოფე, საცოცხე<br>მცენარეების გამოყენება | <b>28.9%</b> | 16.1%        | 13.4%                | 25.2%                          | 18.9%                      | 35%                 | 12.5%        |
| საღებავი და მთრიმლავი<br>ნივთიერებების წარმოება                                       | 14.4%        | <b>20.2%</b> | 19.2%                | <b>36.2%</b>                   | <b>19.2%</b>               | 36.2%               | <b>24.6%</b> |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტყის რესურსები გამოიყენება, ძირითადად, თაფლის, ტრადიციული ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო საგნების წარმოებისათვის.

გამოკითხულთა აზრით, მათ სოფლებში არსებულ ტყეებს ძირითადად უნდა ჰქონდეს საშემე-საყოფაცხოვრებო დანიშნულება, ქვემო ქართლში კი ფიქსირდება ამ ტყეების აგრეთვე დაცულ ტერიტორიებად გამოყენება.

**ცხრილი №82. თქვენს სოფელში რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ტყეს?**

|                       | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|-----------------------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| კომერციული            | 2.5%         | 0%           | 0%                   | 0%                             | 1%                         | 1.8%                | 0%           |
| საშემე-საყოფაცხოვრებო | <b>71.6%</b> | <b>60.3%</b> | <b>50.9%</b>         | <b>83%</b>                     | <b>70.8%</b>               | <b>64.9%</b>        | <b>42%</b>   |
| რეკრეაციული           | 1.2%         | 11.8%        | 7.5%                 | 6.8%                           | 11.9%                      | 7.0%                | 15.9%        |
| სამონადირეო           | 12.3%        | 8.1%         | 8.2%                 | 2.3%                           | 2.0%                       | 1.8%                | 11.6%        |
| დაცული ტერიტორია      | 12.3%        | 19.9%        | 33.3%                | 8.0%                           | 14.4%                      | 24.6%               | 30.4%        |

გამოკითხული მოსახლეობა ტყეების საკუთრების ფორმებიდან უპირატესობას სახელმწიფო და სათემო ტყეებს ანიჭებს.


**ცხრილი №83. ტყეების საკუთრების რომელ ფორმებს მიანიჭებდით უპირატესობას?**

|                                    | აჭარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო<br>სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|------------------------------------|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|---------------------------|-----------------|--------------|
| კერძო საკუთრება                    | 6.1%         | 1.3%         | 1.9%                 | 4.4%                           | 13.6%                     | 0%              | 2.8%         |
| სახელმწიფო საკუთრება               | <b>43.9%</b> | <b>51.3%</b> | <b>48.8%</b>         | <b>42.9%</b>                   | <b>38.8%</b>              | <b>83.9%</b>    | <b>62.5%</b> |
| სათემო საკუთრება                   | <b>50%</b>   | <b>40.7%</b> | <b>43.2%</b>         | <b>47.3%</b>                   | <b>43.7%</b>              | 14.5%           | <b>31.9%</b> |
| ტრადიციული/<br>ისტორიული საკუთრება | 0%           | 2%           | 6.2%                 | 3.3%                           | 2.9%                      | 0%              | 0%           |
| შერეული მოდელი                     | 0%           | 4.7%         | 0%                   | 2.2%                           | 1.0%                      | 1.6%            | 2.8%         |

## 5.9 პასუხისმგებლობის განაწილება

ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, სატყეო სექტორზე და, შესაბამისად, ტყის რესურსების მართვაზე, პასუხისმგებელია სამხარეო ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა. ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელობაზე ამ კუთხით სხვა რეგიონებთან შედარებით უფრო მეტი რესპონდენტი საუბრობს სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და აჭარის რეგიონებში.

**გრაფიკი №30. თქვენი აზრით, ვინ არის / რომელი ორგანოა პასუხისმგებელი სატყეო სექტორის მართვაზე?**



რაც შეეხება, ზოგადად, სატყეო პოლიტიკას და იქ არსებულ პრობლემებს, რესპონდენტები ტყის სექტორის მართვის გაუმჯობესებისთვის საჭირო პოლიტიკური ნების დეფიციტს ასახელებენ.

რეგიონების მიხედვით ეს ინფორმაცია დეტალურად მოცემულია ცხრილში №85.

**ცხრილი №84. როგორია ქვეყნის სატყეო პოლიტიკა და რა პრობლემებს გამოყოფთ სექტორის მართვაში (დასახელების სიხშირე)?**

|  | აჭარა | კახეთი | მცხეთა - მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი | სამეგრელო-ზემო სვანეთი | სამცხე-ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|--|-------|--------|-------------------|----------------------------|------------------------|-----------------|--------------|
| არ არსებობს პოლიტიკური ნება სექტორის მართვის გაუმჯობესებისთვის | 24.8% | 0%     | 0%                | 4.1%                       | 0.2%                   | 35.5%           | 35.3%        |
| მიმდინარეობს გავლენის სფეროების გადანაწილება სატყეო ბიზნესზე   | 19.9% | 5.4%   | 5.4%              | 12.4%                      | 7.0%                   | 30.6%           | 19.4%        |

|  | აკარა        | კახეთი       | მცხეთა -<br>მთიანეთი | რაჭა-ლეჩხუმი-<br>ქვემო სვანეთი | სამეგრელო-<br>ზემო სვანეთი | სამცხე-<br>ჯავახეთი | ქვემო ქართლი |
|--|--------------|--------------|----------------------|--------------------------------|----------------------------|---------------------|--------------|
| გადაწყვეტილების მიმღები პირების არაკომპეტენტურობა  | 0%           | 0%           | 0%                   | 0%                             | 0%                         | <b>100%</b>         | 0%           |
| სატყეო პერსონალის სიმცირე (რეინჯერები ვერ უმკლავდებიან მათ პასუხისმგებლობაში არსებულ უზარმაზარ ტერიტორიებს)                      | <b>19.7%</b> | 4.9%         | 4.9%                 | 7.7%                           | 13.4%                      | 26.8%               | 22.5%        |
| პერსონალის არაპროფესიონალიზმი (ტექნიკური ცოდნის ნაკლებობა)   | 17.4%        | 10.7%        | 9.5%                 | 4.3%                           | 26.3%                      | 13.6%               | 18.2%        |
| კორუფცია/ქრთამის აღება   | <b>20.5%</b> | 5.4%         | 10.8%                | 5.4%                           | 10.8%                      | 20.5%               | <b>26.5%</b> |
| სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, მართოს ამ მასშტაბის საზოგადოებრივი საკუთრება (საჭიროა სექტორის დივერსიფიკაცია/ტყეების პრივატიზება) | 15%          | <b>55.7%</b> | <b>33.0%</b>         | 3.3%                           | <b>66.7%</b>               | 21.7%               | <b>24.7%</b> |
| სახელმწიფოს არ შესწევს უნარი, აკონტროლოს გრძელვადიანი ლიცენზიით გაცემული ტყეები (საჭიროა ტყეების გასხვისების შეზღუდვა)           | 0%           | <b>43.3%</b> | <b>45.0%</b>         | <b>66.7%</b>                   | 0%                         | 0%                  | 0%           |
| კომპეტენციები თავმოყრილია ერთ უწყებაში (საჭიროა დეცენტრალიზაცია და თვითმმართველობების ჩართვა პროცესში)                           | 14.0%        | 11.1%        | 15.7%                | 5.8%                           | 6.1%                       | 23.3%               | 23.9%        |

## დანართები:

### დანართი №1. კითხვარი

კითხვარი №

შევსების თარიღი -----/-----/-----წელი

რაიონი -----

თემი \_\_\_\_\_ სოფელი -----

სოფელში მუდმივად მცხოვრები (მოზამთრე) ოჯახების რაოდენობა \_\_\_\_\_

სოფელში სეზონურად მცხოვრები ოჯახების რაოდენობა \_\_\_\_\_

გამარჯობათ, მე ვარ \_\_\_\_\_ წარმოვადგენ პროექტს “ტყის მდგრადი მართვა საქართველოში”, რომელიც ხორციელდება CENN-ის მიერ ხელისუფლებასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ჩვენ ვატარებთ გამოკითხვას, რომლის მიზანია შევისწავლოთ ტყეების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გავლენა მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე. გთხოვთ, მონაწილეობა მიიღოთ გამოკითხვაში, რომელიც დაახლოებით 1 საათს დაიკავებს და გულწრფელად უპასუხოთ დასმულ კითხვებს. გამოკითხვის მონაცემები გამოყენებულ იქნება მხოლოდ განზოგადოებული სახით, თქვენი სახელის დაფიქსირება კვლევის ფარგლებში არ მოხდება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

ინტერვიუერს: კითხვარში გამოიყენეთ შემდეგი კოდები

|                                 |    |
|---------------------------------|----|
| პასუხზე უარი განაცხადა          | 77 |
| არ ვიცი / მიჭირს პასუხის გაცემა | 99 |

**ინფორმაცია ტყეების მართვის პრობლემებისა და მოსახლეობაზე მისი გავლენის შესახებ**

#### A. ტყეების მდგრადობის შეფასება

A1. გთხოვთ, ჩამოთვალოთ ტყეების მართვასთან დაკავშირებული 4 ძირითადი (პირველი რიგის) პრობლემა, რაც თქვენი სოფლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

|                              |   |
|------------------------------|---|
| 1.                           |   |
| 2.                           |   |
| 3.                           |   |
| 4.                           |   |
| ასეთი პრობლემები არ არსებობს | 5 |

**A2. როგორ შეაფასებდით თქვენი სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეების მდგომარეობას წლების მიხედვით (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)**

| შესაძლო ზიანი   | A2.1<br>1990–<br>მდე | A2.2<br>2000<br>წლისთ<br>ვის | A2.3<br>2005<br>წლისთ<br>ვის | A2.4<br>2010<br>წლისთ<br>ვის | A2.5<br>2012<br>წლისთ<br>ვის |
|---|----------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|------------------------------|
| ტყეები საუკეთესო მდგომარეობაშია   | 1                    | 1                            | 1                            | 1                            | 1                            |
| ადგილი აქვს ტყის უმნიშვნელო დეგრადაციას   | 2                    | 2                            | 2                            | 2                            | 2                            |
| პირველადი, ხნოვანი ტყეები შეცვლილია მეორადი, ახალგაზრდა ტყეებით                       | 3                    | 3                            | 3                            | 3                            | 3                            |
| ტყეების სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა დასული   | 4                    | 4                            | 4                            | 4                            | 4                            |
| ადგილ-ადგილ ტყეები პირწმინდადაა გაჩეხილი  | 5                    | 5                            | 5                            | 5                            | 5                            |
| ტყეების ადგილი ბუჩქნარმა და ბარდმა დაიკავა  | 6                    | 6                            | 6                            | 6                            | 6                            |
| ტყეებიდან გაქრა ადრე გავრცელებული ცხოველები (დააკონკრეტეთ)                            | 7                    | 7                            | 7                            | 7                            | 7                            |
| ტყეებში მომრავლდა ადრე არარსებული ცხოველები (დააკონკრეტეთ)                            | 8                    | 8                            | 8                            | 8                            | 8                            |
| ტყეები საერთოდ აღარ გამოდგება მათში ერთ დროს არსებული ცხოველების საბინადროდ           | 9                    | 9                            | 9                            | 9                            | 9                            |
| ტყეებს დაკარგული აქვს რეკრეაციული და ესთეტიკური ღირებულება                            | 10                   | 10                           | 10                           | 10                           | 10                           |
| დაზიანებულია სატყეო გზები   | 11                   | 11                           | 11                           | 11                           | 11                           |
| სატყეო გზები დაიხრამა და მიუვალი გახდა  | 12                   | 12                           | 12                           | 12                           | 12                           |
| გაკაფულ ფერდობებზე დაწყებულია ეროზიული პროცესები                                      | 13                   | 13                           | 13                           | 13                           | 13                           |
| ფერდობები ჩამორეცხილი და დამეწყრილია, გაზრდილია ღვარცოფებისა და წყალმოვარდნების რისკი | 14                   | 14                           | 14                           | 14                           | 14                           |
| ტყეების განადგურების შედეგად სოფელს სასმელი წყლის პრობლემები შეექმნა                  | 15                   | 15                           | 15                           | 15                           | 15                           |
| სხვა (დააკონკრეტეთ)   |                      |                              |                              |                              |                              |

**B. ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების ექსპლუატაცია**

**B1. მოიპოვებოდა თუ არა სოფლის სიახლოვეს ხეტყე როდესმე?**

|  |   |
|--|---|
| სოფლის სიახლოვეს ხე-ტყე არასდროს მოიპოვებოდა                 | 1 |
| სოფლის სიახლოვეს ხე-ტყე ადრე მოიპოვებოდა                     | 2 |
| სოფლის სიახლოვეს ხე-ტყე ეხლა მოიპოვება                       | 3 |
| სოფლის სიახლოვეს ხე-ტყე ადრეც მოიპოვებოდა და ეხლაც მოიპოვება | 4 |



**B2. შეჩერებულია თუ არა სოფლის სიახლოვეს ხეტყის ექსპლუატაცია? თუ დიახ, დაასახელოთ მიზეზი**

|      |   |               |
|------|---|---------------|
| დიახ | 1 | მიზეზი: _____ |
| არა  | 2 |               |

**B3. გამოაქვს თუ არა მოსახლეობას ტყიდან მერქნული რესურსები ?**

|                   |   |
|-------------------|---|
| დიახ, გამოაქვს    | 1 |
| არა, ვერ გამოაქვს | 2 |

**B4. ფუნქციონირებს თუ არა სოფლის სიახლოვეს სახერხები?**

|                       |   |   |
|-----------------------|---|---|
| დიახ, ფუნქციონირებს   | 1 | თუ ფუნქციონირებს, მიუთითეთ რამდენი? _____ |
| არა, არ ფუნქციონირებს | 2 |   |

**B5. სოფლის სიახლოვეს ადრე არსებული სახერხები გაჩერებულია**

|  |   |   |
|--|---|---|
| დიახ, გაჩერებულია                                  | 1 | თუ გაჩერებულია, მიუთითეთ რამდენი? _____ |
| არა, გაჩერებული სახერხები არ არის სოფლის სიახლოვეს | 2 |   |

**B6. სოფლის სიახლოვეს ხეტყე მოიპოვება მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებებისთვის თუ სხვა დანიშნულებით?**

|   |   |
|---|---|
| დიახ, მხოლოდ ადგილობრივი საჭიროებისათვის                  | 1 |
| არა, სხვა დანიშნულებისათვის                               | 2 |
| როგორც ადგილობრივი საჭიროებისათვის, ისე სხვა დანიშნულებით | 3 |

**B7. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს სოფელში ხეტყის მოპოვება მიმდინარეობს, რამდენად მასშტაბური ხასიათი აქვს ამას?**

|  |   |
|--|---|
| ხე-ტყის მოპოვებას მასშტაბური ხასიათი არა აქვს                | 0 |
| შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ მასშტაბური ხასიათი აქვს      | 1 |
| ხე-ტყე მასშტაბურად მოიპოვება                                 | 2 |
| ხე ტყის მოპოვებას ძალზედ ინტენსიური, მასშტაბური ხასიათი აქვს | 3 |

**B8. გამოიყენება თუ არა ადგილობრივი ხეტყე სახელმწიფო პროგრამებისთვის?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B8. პასუხი დადებითია (1) გადაადით კითხვა B8.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B9.

**B8.1. გთხოვთ, მონიშნოთ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამა, რომლისათვისაც ადგილობრივი ხეტყე გამოიყენება:**

|  |   |
|--|---|
| საჯარისო ნაწილების შემთხვევაში უზრუნველყოფა  | 1 |
| სახელმწიფო დაწესებულებების (სკოლები, ბაგა-ბაღები, ადმინისტრაციული შენობები...)<br>შემთხვევაში უზრუნველყოფა | 2 |
| დევენილების შემთხვევაში უზრუნველყოფა   | 3 |
| სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში უზრუნველყოფა  | 4 |
| სხვადასხვა სტრატეგიული ობიექტების სამშენებლო მასალით უზრუნველყოფა  | 5 |
| სხვა (დააკონკრეტეთ) _____  |   |

|   |      |     |
|---|------|-----|
|   | დიახ | არა |
| <b>B9. ადგილობრივი ხეტყით მარაგდება ქვეყნის ცენტრალური ბაზარი</b> | 1    | 2   |

|   |   |   |
|---|---|---|
| B10. ხეტყე ინტენსიურად გადაადგილდება სატვირთო მანქანებით  | 1 | 2 |
| B11. ხორციელდება ადგილობრივი ხეტყის ექსპორტი საზღვარგარეთ | 1 | 2 |

B12. გაიხსნა თუ არა სოფლის სიახლოვეს ხეტყის გადამამუშავებელი საწარმო?

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

B13. კომპანიებში, რომლებიც ეწევიან ხეტყის მოპოვებას, ძირითადად დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა თუ არა?

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B13. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B13.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B14.

B13.1. მიუთითეთ ხეტყის მოპოვებელ კომპანიებში, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა: \_\_\_\_\_

B13.2. მიუთითეთ ხეტყის მოპოვებელ კომპანიებში, ადგილობრივი დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა: \_\_\_\_\_

B14. მოსახლეობა ძირითადად თვითდასაქმებულია ტყეში

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B14. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B14.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B15.

B14.1. მიუთითეთ ტყეში თვითდასაქმებულთა რაოდენობა: \_\_\_\_\_

B14.2. გთხოვთ, მიუთითეთ თვითდასაქმების სახე და წარმოების საბოლოო პროდუქტი:

|                           |   |
|---------------------------|---|
| საშემე მასალის მოპოვება   | 1 |
| სამასალე მასალის მოპოვება | 2 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)       | 3 |

B14.3. გთხოვთ, მიუთითეთ წარმოების საბოლოო პროდუქტი:

\_\_\_\_\_

B15. ხეტყის მოპოვებას ეწევიან თქვენთვის ცნობილი მსხვილი კომპანიები

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B15. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B15.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B16.

|  | დიახ | არა |
|--|------|-----|
| B15.1. სოფლის მახლობლად/მუნიციპალიტეტში არსებულ ტყეებში მოქმედი ლიცენზიანტები და მოპოვებული ხეტყის რაოდენობა უცნობია | 1    | 2   |
| B15.2. ხეტყის მოპოვების პერიოდში ტყის ცალკეულ უბნებზე ვრცელდება გარკვეული შეზღუდვები ადგილობრივი მოსახლეობისთვის     | 1    | 2   |
| B15.3. მოსახლეობას საერთოდ ეზღუდება ტყეში შესვლა   | 1    | 2   |
| B16. სოფლის სიახლოვეს/მუნიციპალიტეტში არსებული ტყეები გადაცემული აქვს სამონადირეო მეურნეობებს                        | 1    | 2   |

თუ კითხვა B16. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B16.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B17.

B16.1. ჩამოთვალეთ ყველა ის შეზღუდვა, რომელსაც სამონადირეო მეურნეობები ადგილობრივ მოსახლეობას უწესებენ:

|  |   |
|--|---|
| ნადირობის შეზღუდვა                               | 1 |
| ტყის მერქნული რესურსების გამოტანის შეზღუდვა      | 2 |
| ტყის არამერქნული რესურსების გამოყენების შეზღუდვა | 3 |
| პირუტყვის ძოვების შეზღუდვა                       | 4 |
| საერთოდ, ტყეში შესვლის შეზღუდვა                  | 5 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)                              |   |

**B16.1.6 არსებობს კონფლიქტი ლიცენზიანტსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის**

|                                       |   |
|---------------------------------------|---|
| არა, კონფლიქტი არ არსებობს            | 0 |
| დიახ, მცირედენი გაურკვევლობა არსებობს | 1 |
| დიახ, კონფლიქტური სიტუაციები არის     | 2 |
| დიახ, ძალიან მწვავე კონფლიქტი         | 3 |

|   | არასოდეს                         | იშვიათად | ხშირად                              | ძალიან ხშირად |
|---|----------------------------------|----------|-------------------------------------|---------------|
| <b>B17. ხდება ხეტყის არაორგანიზებული, უკონტროლო მოპოვება</b>  | 0                                | 1        | 2                                   | 3             |
| <b>B18. ტყეები ინტენსიურად იჩეხება</b>                        | 0                                | 1        | 2                                   | 3             |
| <b>B19. ბიზნესს ლობირებენ/ლობირებდნენ თანამდებობის პირები</b> | 0                                | 1        | 2                                   | 3             |
| <b>B19.1 თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, მიუთითოთ:</b>         | ვინ (სახელი, გვარი, თანამდებობა) |          | როდის მოხდა ლობირების ფაქტი (წლები) |               |

**B20. ტყეში იჭრება წითელი ნუსხის სახეობები**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B20 პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B20. 1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B21.

**B20.1. გთხოვთ, მიუთითოთ წითელი ნუსხის ის სახეობა/ სახეობები, რომლებიც ტყეში იჭრება**

|                     |    |
|---------------------|----|
| ჭალის მუხა          | 1  |
| მაღალმთის მუხა      | 2  |
| იმერული მუხა        | 3  |
| ლაფანი              | 4  |
| კაკალი              | 5  |
| ბერყენა             | 6  |
| უხრავი              | 7  |
| ძელქვა              | 8  |
| წაბლი               | 9  |
| საკმლის ხე          | 10 |
| კოლხური ბზა         | 11 |
| უთხოვარი            | 12 |
| თელა                | 13 |
| სხვა (დააკონკრეტეთ) |    |

|   | დიახ | არა |
|---|------|-----|
| B21. სოფლის სიახლოვეს/მუნიციპალიტეტში არსებული ტყის ტერიტორიებს შეეცვალა სტატუსი ან გაიყიდა | 1    | 2   |
| B22. სოფლის სიახლოვეს შემოიღობა ტყის გაჩეხილი უბნები  | 1    | 2   |
| B23. სოფლის სიახლოვეს არსებული ტყის მიწები დარეგისტრირდა, როგორც კერძო საკუთრება            | 1    | 2   |

**B24. რა ტიპის სამუშაოების გამო გაიჩეხა ტყეები ძირითადად? (მონიშნეთ შესაბამისი):**

|   |   |
|---|---|
| საავტომობილო გზის მშენებლობა                    | 1 |
| ჰესების მშენებლობა                              | 2 |
| მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობა      | 3 |
| საკურორტო ინფრასტრუქტურა და სათხილამურო ტრასები | 4 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)                             |   |

**B25. დაიწვა თუ არა სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეები**

|      |   |                                      |
|------|---|--------------------------------------|
| არა  | 1 |                                      |
| დიახ | 2 | B25.1. მიუთითეთ დრო და ფართობი _____ |

|  | დიახ | არა |
|--|------|-----|
| B26. სოფლის სიახლოვეს არსებული ტყეები ნადგურდება დაავადებების გამო | 1    | 2   |
| B27. ადგილობრივი სახეობების ადგილი დაიკავა უცხო სახეობებმა         | 1    | 2   |

თუ კითხვა B27 პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B27.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა B27.2.

**B27.1. გთხოვთ, მიუთითოთ სახეობა/ სახეობები, რომლებიც ნადგურდება?**

|  |   |
|--|---|
| წიწვოვნები(დააკონკრეტეთ)_____                          | 1 |
| ფართოფოთლოვნები(დააკონკრეტეთ)_____                     | 2 |
| საკვები და სამკურნალო მცენარეები(დააკონკრეტეთ)_____    | 3 |
| დეკორატიული მცენარეები და ყვავილები(დააკონკრეტეთ)_____ | 4 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)_____                               |   |

**B27.2 . გთხოვთ, მიუთითოთ სოფლის სიახლოვეს არსებულ ტყეებში გავრცელებული ინვაზიური (არადაგილობრივი) სახეობა/ სახეობები**

|                          |   |
|--------------------------|---|
| თეთრი აკაცია             | 1 |
| ამორფა                   | 2 |
| გლედია                   | 3 |
| ალბიცია                  | 4 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)_____ |   |

**B28. ტყეების არასწორი ექსპლუატაციის ან მისი შედეგების გამო ხომ არ დაზიანებულა ჩამოთვლილთაგან რომელიმე ან ხომ არ ქონია რომელიმე დასახელებულ ფაქტს ადგილი?**

|  |   |
|--|---|
| დაზიანდა/ზიანდება სოფლის სიახლოვეს არსებული ისტორიული, კულტურული ან საკულტო დანიშნულების ტყეები                        | 1 |
| დაზიანდა/ზიანდება ბუნების ძეგლები  | 2 |
| დაზიანდა/ზიანდება რეკრეაციული/დასასვენებელი ადგილები   | 3 |
| დაზიანდა/ზიანდება სოფლის სიახლოვეს არსებული სუბალპური ტყეები (ტყეების ზოლმაიწია)                                       | 4 |
| ტყეებში და მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩნდა ბუნებრივი კატასტროფების კერები  | 5 |
| მოიმატა ბუნებრივი კატასტროფების სიხშირემ (მონიშნეთ რომელი: წყალმოვარდნა, წყალდიდობა, ღვარცოფი, მეწყერი, ზვავი და ა.შ.) | 6 |

**B29. სოფლის სიახლოვეს არსებობს ბუნების უნიკალური ძეგლები, რომლებიც არასოდეს ყოფილა იდენტიფიცირებული**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა B29 პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა B29.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა C ბლოკზე.

**B29.1. არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, აღგვიწეროთ ეს უნიკალური ძეგლი:**

---



---



---

**C. ტყეებისა და სატყეო ფონდის ტერიტორიების მართვა**

**C1. სოფელში შემორჩენილია თუ არა ტყეების ადათობრივი მართვა?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა C1. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა C1.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა C2.

**C1.1. არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, აღგვიწეროთ ადათობრივი მართვის ფორმები:**

---



---



---

|  | დიახ | არა |
|--|------|-----|
| C2. სოფელში ან მის სიახლოვეს ისტორიულად არსებობს თუ არა საგვარეულო/საოჯახო ტყეები? | 1    | 2   |
| C3. სოფელში ან მის სიახლოვეს არსებობს სათემო/კომუნალური ტყეები?                    | 1    | 2   |
| C4. სოფელში/სოფლის სიახლოვეს არსებობდა თუ არა ადრე საკოლმეურნეო ტყეები?            | 1    | 2   |

**D. სატყეო ფონდში არსებული წყლის რესურსების მართვა**

**D1. გთხოვთ, დაასახელოთ თქვენს სოფელთან, ტყეებში არსებული ზედაპირული წყლის ობიექტები (სახელწოდება)**

|                            |   |
|----------------------------|---|
| მდინარე                    | 1 |
| ტბა                        | 2 |
| ნაკადული                   | 3 |
| ღელე                       | 4 |
| სხვა (დააკონკრეტეთ): _____ |   |

**D2. სარგებლობის რა ფორმები ვრცელდება სოფლის სიახლოვეს არსებული ზედაპირული წყლის ობიექტებზე?**

|  |   |
|--|---|
| წყლის ობიექტი გაცემულია კერძო სარგებლობაში (დააკონკრეტეთ რომელი) | 1 |
| წყლის ყველა ობიექტი რჩება სახელმწიფო სარგებლობაში                | 2 |

თუ კითხვა D2. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა D2.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა D3.

**D2.1. ვრცელდება თუ არა შეზღუდვები ადგილობრივი მოსახლეობისთვის ზედაპირული წყლის ობიექტების გარკვეულ პერიმეტრზე?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
|------|---|

|     |   |
|-----|---|
| არა | 2 |
|-----|---|

**D3. ხდება თუ არა მდინარიდან/ღელიდან ინერტული მასალების (სამშენებლო ქვა, ქვიშა-ხრემის) მოპოვება?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა D3. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა D3.1., თუ უარყოფითი (2) კითხვა D4.

**D3.1. გთხოვთ, დააზუსტოთ ინერტული მასალების მოპოვების ფორმა და მასშტაბი**

|  |   |
|--|---|
| ინერტული მასალების მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები და ამ საქმიანობით დაკავებული არიან კერძო კომპანიები              | 1 |
| ინერტული მასალების მოპოვება ხდება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საოჯახო და სამეურნეო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად | 2 |

**D4. გთხოვთ, დააკონკრეტოთ ზედაპირული წყლის ობიექტების ექსპლუატაციის სხვა სახეები:**

|  |   |
|--|---|
| მოწყობილია თევზსაშენები                          | 1 |
| მოწყობილია რეკრეაციული ზონა                      | 2 |
| მოწყობილია ინფრასტრუქტურა სპორტული თევზაობისთვის | 3 |
| მოწყობილია საპიკნიკო ადგილები                    | 4 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)                              |   |

**D5. ხომ არ შეიმჩნევა რაიმე სახის ცვლილებები ზედაპირული წყლის ობიექტებზე?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა D5. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა D5. 1., თუ უარყოფითი (2) კითხვა D6.

**D5.1. რა სახის ცვლილებები შეიმჩნევა ზედაპირული წყლის ობიექტებზე?**

|  |    |
|--|----|
| შემცირდა მდინარის წყლის დებეტი   | 1  |
| შეიცვალა მდინარის წყლის დებეტის სეზონურობა   | 2  |
| მნიშვნელოვნად გაიზარდა მდინარის/ღელის კალაპოტი   | 3  |
| მდინარეში მოიმატა მყარი ჩამონატანის მოცულობამ  | 4  |
| წყალუხვობის დროს მდინარეში შეიმჩნევა უფრო დიდი ზომის ქვების გადაადგილება                   | 5  |
| მდინარემ/ღელემ/ნაკადულმა შეიცვალა მიმართულება  | 6  |
| მდინარემ/ღელემ/ნაკადულმა დატბორა მანამდე ტყით დაფარული ტერიტორია ან სატყეო მიწები          | 7  |
| მდინარე/ღელე/ნაკადული სეზონურად ტბორავს ტყის გარკვეულ ტერიტორიებს                          | 8  |
| დაშრა ნაკადული   | 9  |
| დაშრა წყაროები   | 10 |
| შემცირდა ტბის ფართობი  | 11 |
| გაიზარდა ტბის ფართობი  | 12 |
| გაჩნდა ახალი ზედაპირული წყლის ობიექტი (გთხოვთ, მონიშნოთ: ნაკადული, ღელე, მცირე ტბა, ტბორი) | 13 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)  |    |

**D6. ხომ არ განხორციელდა ხელოვნური ჩარევა ზედაპირული წყლის ობიექტებზე?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

თუ კითხვა D6. პასუხი დადებითია (1) გადადით კითხვა D6.1., თუ უარყოფითი (2) – კითხვა D7.

**D6.1. გთხოვთ, დააკონკრეტოთ, რა სახის ხელოვნური ჩარევა განხორციელდა ზედაპირული წყლის ობიექტებზე?**

|   |   |
|---|---|
| შემცირეს მდინარის წყლის დებეტი          | 1 |
| გაზარდეს მდინარის/ღელის კალაპოტი        | 3 |
| მდინარეს/ნაკადულს შეუცვალეს მიმართულება | 4 |
| მოეწყო საგუბარები                       | 5 |
| შემამცირეს/გაზარდეს წყალსაცავის ფართობი | 6 |
| სხვა (დააკონკრეტეთ) _____               |   |

**D7. ხომ არ ჰქონდა ადგილი მდინარის ხელოვნურ გადაკეტვას (ჰესის მშენებლობის ან სხვა სახის საქმიანობის გამო)?**

|      |   |
|------|---|
| დიახ | 1 |
| არა  | 2 |

**E. ინფორმაცია ეკონომიკურ მდგომარეობაზე**

**E1. რას უწოდებდით სოფლის საშუალო ოჯახს?**

|                               |   |
|-------------------------------|---|
| ძალიან ღარიბს                 | 1 |
| ღარიბს                        | 2 |
| საშუალო შესაძლებლობების მქონე | 3 |
| მდიდარს                       | 4 |
| ძალიან მდიდარს                | 5 |

**E2. რამდენი ადამიანია დასაქმებული სოფლის საშუალო ოჯახში (ხელფასიანი სამსახური)?**

|                    |   |
|--------------------|---|
| 1 ადამიანი         | 1 |
| 2 ადამიანი         | 2 |
| ორზე მეტი ადამიანი | 3 |
| არცერთი            | 4 |

**E3. ზოგადად როგორ შეაფასებდით სოფლის ამჟამინდელ მდგომარეობას?**

|              |   |
|--------------|---|
| ძალიან ცუდი  | 1 |
| ცუდი         | 2 |
| საშუალო      | 3 |
| კარგი        | 4 |
| ძალიან კარგი | 5 |

**E4. მიუთითეთ სოფლის საშუალო ოჯახის შემოსავლის ძირითადი წყაროები (შესაძლებელია რამდენიმე პასუხი)**

|   |   |
|---|---|
| ტყის რესურსების გამოყენება  | 1 |
| სოფლის მეურნეობა  | 2 |
| ხელფასიანი სამსახური  | 3 |
| საკუთარი ბიზნესი  | 4 |
| პენსია/დახმარება  | 5 |
| საზღვარგარეთ (ქალაქში) მცხოვრები ოჯახის წევრის მიერ გამოგზავნილი ფული | 6 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)   |   |

**E5. რამდენად მნიშვნელოვანია ტყეზე ხელმისაწვდომობა სოფლის საშუალო ოჯახისათვის?**

|                   |   |
|-------------------|---|
| ძალიან უმნიშვნელო | 1 |
| უმნიშვნელო        | 2 |

|                            |   |
|----------------------------|---|
| მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი | 3 |
| მნიშვნელოვანი              | 4 |
| ძალიან მნიშვნელოვანი       | 5 |

**E7. 1. როგორ შეაფასებდით ტყის რესურსების ხელმისაწვდომობას ბოლო წლების მიხედვით?**

|   | ძალიან<br>შეიზღუ<br>და | შეიზღუ<br>და | იგივე<br>დარჯ<br>ა | გაიზარდა | ძალიან<br>გაიზარ<br>და | E7.2<br>მიუთითე<br>თ წელი<br>როცა ეს<br>მოხდა |
|---|------------------------|--------------|--------------------|----------|------------------------|---|
| E7. 1.1. ხელმისაწვდომობა საშეშე ხეტყეზე   | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| E7. 1.2. ხელმისაწვდომობა სამასალე ხეტყეზე   | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| E7. 1.3. ხელმისაწვდომობა საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო მასალებზე (მწელი, ბომი, ჭიგო) | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| E7. 1.4. ხელმისაწვდომობა არამერქნულ რესურსებზე (სოკო, კენკრა)                         | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| E7. 1.5. ხელმისაწვდომობა რეკრეაციულ რესურსებზე  | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| E7. 1.6. პირდაპირი შემოსავლები ტყიდან   | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |
| სხვა (დააკონკრეტეთ)   | 1                      | 2            | 3                  | 4        | 5                      | _____   |

**E8. თქვენი აზრით, როგორი გავლენა მოახდინა ტყეების მდგომარეობის და სატყეო სექტორის მართვის სისტემის ცვლილებების შედეგებმა თქვენზე და თქვენს სოფელზე?**

|               |   |
|---------------|---|
| მნიშვნელოვანი | 2 |
| უმნიშვნელო    | 3 |

თუ კითხვა E8. პასუხი დადებითია (1) გადაადით კითხვა E8.1., თუ უარყოფითი (2) – კითხვა E9.

**E8.1. კონკრეტულად რა შედეგი მოიტანა ამ ცვლილებებმა თქვენთვის და თქვენი სოფლის მოსახლეობისთვის?**

|  |   |
|--|---|
| დაიკარგა შემოსავლები ტყის მერქნული რესურსების წარმოებიდან  | 1 |
| დაიკარგა შემოსავლები ტყის არამერქნული რესურსების წარმოებიდან   | 2 |
| შემცირდა შემოსავლები სოფლის მეურნეობიდან   | 3 |
| შემცირდა შემოსავლის სხვა წყაროები (დააკონკრეტეთ: ნადირობა, თევზჭერა, ტრადიციული წარმოება/მეურნეობა, ტურიზმი) | 4 |
| მოსპო კულტურული დასვენებისა და რეკრეაციის კერა   | 5 |
| გაჩნდა ეკოლოგიური პრობლემები   | 6 |
| სხვა (დააკონკრეტეთ)  |   |

მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაადით კითხვა E8.1.1-ზე, თუ კითხვა E8.1.-ში შემოხაზულია „6“, სხვა შემთხვევაში გადაადით F ბლოკზე

**E8.1.1. რომელი ეკოლოგიური პრობლემები გაჩნდა?**

|  |   |
|--|---|
| სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაცია/შემცირება | 1 |
| სასოფლო-სამეურნეო მიწების შემცირება            | 2 |
| სამოვრებისა და სათიბების დეგრადაცია/შემცირება  | 3 |
| სამოვრებისა და სათიბების შემცირება             | 4 |



|                        |   |
|------------------------|---|
| სასმელი წყლის დეფიციტი | 5 |
| სხვა (დაასახელეთ)      |   |

**F. ადგილობრივი ტყის რესურსებით სარგებლობის გამოკვლევა**

**F1. შეშა**

**F1.1. რამდენი ადამიანი ცხოვრობს სოფლის ოჯახში საშუალოდ?**

|                    |   |
|--------------------|---|
| ერთი ადამიანი      | 1 |
| ორი ადამიანი       | 2 |
| სამი ადამიანი      | 3 |
| ოთხი ადამიანი      | 4 |
| ხუთი ადამიანი      | 5 |
| 5-ზე მეტი ადამიანი | 6 |

**F1.2. რა საწვავს იყენებს სოფლის ოჯახი გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად (არა გასანათებლად)?**

|                      |   |
|----------------------|---|
| შეშა                 | 1 |
| ბუნებრივი აირი       | 2 |
| თხევადი გაზი         | 3 |
| ელექტროენერგია       | 4 |
| ქვანახშირი           | 5 |
| ნავთი/დიზელი/სალიარი | 6 |
| სხვა (მიუთითეთ)      |   |

**F1.3. რამდენ საწვავს მოიხმარს ჩვეულებრივ სოფლის საშუალო ოჯახი საშუალოდ (მონიშნეთ ერთი ან რამდენიმე) და F1.4. რა თანხას ხარჯავს აღნიშნულ საწვავში?**

| საწვავის სახე          | ოდენობა პერიოდში | საწვავის სახე          | წლიური ხარჯი ლარებში |
|------------------------|------------------|------------------------|----------------------|
| F1.3.1. შეშა           | — კბ/მ წელიწადში | F1.4.1. შეშა           |                      |
| F1.3.2. ბუნებრივი აირი | — კბ/მ წელიწადში | F1.4.2. ბუნებრივი აირი |                      |
| F1.3.3. ქვანახშირი     | — კბ/მ წელიწადში | F1.4.3. ქვანახშირი     |                      |
| სხვა (მიუთითეთ)        |                  | სხვა (მიუთითეთ)        |                      |

